საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოიწერეთ, იკითხეთ

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან № 103 (2019) ოთხშაბათი, 16 აგვისტო, 1995 წელი. ფასი 200.000 კუპონი

ქვეყნის ეკონომიკის წინსვლისათვის

15 აგვისტოს საქართველოს პარლამენტის შენობაში გაიმართა თათბირი, რომელშიც მონაწილეობდნენ პარლამენტის თავმჯდომარე — სახელმწიფოს მეთაური ედუარდ შევარდნაძე, პრემიერ-მინისტრი ოთარ ფაცაცია, სამინისტროთა და უწყებათა ხელმძღვანელები, სახელმწიფოს მეთაურის რწმუნებულები, ქალაქებისა და რაიონების გამგებლები.

თათბირზე მიმდინარე წლის პირველ ნახევარში გაწეული სამეურნეო მუშაობის ძირითადი საწარმოო, ეკონომიკური და ფინანსური შედეგების შესახებ მოხსენებით გამოვიდა პრემიერ-მინისტრი ოთარ ფაცაცია, რომელმაც აღნიშნა, რომ ქვეყნის სამეურნეო საქმიანობის ყველა სფეროში ვითარების სტაბილიზაციისათვის განხორციელებული გადამჭრელი ზომების შედეგად შეუქცევადი ხასიათი მიიღო ცხოვრების სრული ტრანსფორმაციის კურსმა. ქვეყანაში დამთავრდა საგეგმო-დირექტიული სისტემის სრული დემონტაჟი და სულ უფრო ფართოვდება დამოუკიდებელი ეკონომიკური სისტემის ჩამოყალიბების პროცესი.

ბატონმა ოთარ ფაცაციამ განაცხადა, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და სხვა საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაციების რეკომენდაციათა შესაბამისად, მნიშვნელოვანი მუშაობა მიმდინარეობს საფინანსო-საგადასახადო და საბანკო სისტემების დასახვეწად. ინტენსიურად ყალიბდება ისეთი ახალი საბაზრო სტრუქტურები, როგორიცაა საიპოთეკო, საინვესტიციო და სხვა ფონდები.

პრემიერ-მინისტრი თავის გამოსვლაში შეეხო საქართველოს საფინანსო-საკრედიტო სისტემაში წესრიგის დამყარების უმნიშვნელოვანეს ღონისძიებებს და აღნიშნა, რომ ორწლიანი პაუზის შემდეგ მოხერხდა რესპუბლიკური ბიუჯეტის დამტკიცება. მისი უმთავრესი ღირსება ის არის, რომ იგი ჯერ ერთი, უდეფიციტოა, და, მეორეც, უარი ითქვა შემოსავლებისა და გასავლების დასაფინანსებლად ემისიური კრედიტების გამოყენებაზე.

ბიუჯეტის დაბალანსება მიღწეულია დონორი ქვეყნებისა და ორგანიზაციების მიერ საქართველოსათვის გაწეული დახმარების ხარჯზე.

ბატონმა ოთარ ფაცაციამ დამსწრე საზოგადოებას აცნობა, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდის დიდი მხარდაჭერითა და მცდელობით მრავალი ქვეყანა დათანხმდა ვალების რესტრუქტურიზაციას. ამან კი საერთაშორისო სავალუტო ფონდს შესაძლებლობა მისცა, წლეულს, ივნისში, საქართველოსათვის საბოლოო ანგარიშით გამოეყო 117 მილიონი დოლარის კრედიტი.

გარკვეული წინსვლაა საკუთრების განსახელმწიფოებრიობის საქმეში. მიმდინარე წლის პირველი ივლისისათვის პრივატიზებულია 4080 სახელმწიფო საწარმო და რეგისტრირებულია 807 სააქციო საზოგადოება. სულ უფრო ფართოვდება მასობრივი პრივატიზაციის პროცესი. მოსახლეობას დაურიგდა 1,6 მილიონი ვაუჩერი, რომელთა დასაქონლება ხორციელდება სპეციალიზებული საბაროთ აუქციონების მეშვეობით. ვაუჩერებზე გაიყიდება 380 მილიონი დოლარის საერთო ღირებულების 250 მილიონზე მეტი აქცია.

პრემიერ-მინისტრი შეეხო ქვეყნის საგადასახადო-საბიუჯეტო პოლიტიკას და განაცხადა, რომ ხორციელდება კონკრეტული ღონისძიებანი ქვეყნის ერთობლივ შიდა პროექტში სახელმწიფო შემოსავლების ხვედრითი წილის გაზრდისათვის.

ბატონმა ოთარ ფაცაციამ ყურადღება მიაპყრო იმ გარემოებას, რომ რესპუბლიკის ბიუჯეტის შემოსავლების საერთო მოცულობის შესრულების პირობებში აღინიშნება ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტების შემოსავლების საპროგნოზო მოცულობის გადაჭარბებით შესრულება, რაც ადგილობრივი მმართველობის ორგანოების ხელმძღვანელთა ადგილობრივი საქმეებით უპირატესი დაინტერესებით უნდა აიხსნას. ამავე დროს საბიუჯეტო შემოსავლების ზრდის ყველაზე მნიშვნელოვანი ხელშემშლელი ფაქტორია გადაუხდელობის კატასტროფული მასშტაბი, რესპუბლიკის ეროვნულ მეურნეობაში არსებული გადაუხდელობის საერთო მოცულობის 70-80 პროცენტი მოდის „საქგაზისა“ და „საქენერგოს“ დეპარტამენტებზე. გადაუხდელობის პრობლემამ მეტად უარყოფითი გავლენა იქონია რესპუბლიკის საგარეო ვალის მდგომარეობაზეც. ამ ვალმა დღეისათვის მილიარდ ამერიკულ დოლარს გადააჭარბა. საერთაშორისო სავალუტო ფონდის დახმარებით და ხელშეწყობით აქტიური მოლაპარაკება მიმდინარეობს ვალის რესტრუქტურიზაციისათვის.

პრემიერ-მინისტრმა აქვე განმარტა, რომ წლეულს რესპუბლიკის ეკონომიკის განვითარებაში აშკარად გამოიკვეთა ინფლაციური პროცესების შენელების ტენდენცია, რაც ეკონომიკის გამოცოცხლების წინა პირობაა. ფასწარმოქმნის სფეროში მას უმნიშვნელოვანეს მოვლენად მიაჩნია ის, რომ მიმდინარე წლის პირველი აპრილიდან შემცირდა ბუნებრივი გაზისა და ელექტროენერგიის ფასები შესაბამისად 25-35 პროცენტით, რამაც ხელი უნდა შეუწყოს წარმოების გამოცოცხლებას და გადაუხდელობის კრიზისის შენელებას.

ბატონ ო. ფაცაციას განცხადებით, ქვეყნის ეკონომიკის ძირითად დარგებში მდგომარეობა კვლავ უაღრესად დაძაბული და კრიზისულია. თუმცა ერთგვარი გაუმჯობესებით ხასიათდება საქართველოს მრეწველობის განვითარება.

რესპუბლიკური თათბირი

ინფორმაცია პრივატიზაციის მიმდინარეობის შესახებ გააკეთა სახელმწიფო ქონების მართვის მინისტრმა ავთანდილ სილაგაძემ.

ჯანმრთელობის დაცვის მინისტრმა ავთანდილ ჯორბენაძემ ისაუბრა იმის შესახებ, თუ როგორ მიმდინარეობს ჩვენს ქვეყანაში ჯანმრთელობის სისტემის რეფორმები და რა გავლენას ახდენს იგი სამედიცინო მომსახურებაზე.

ეკონომიკის მინისტრმა ვლადიმერ პაპავამ გააანალიზა ქვეყნის ეკონომიკის ექვსი თვის შედეგები და აღნიშნა, რომ ეკონომიკის განვითარების პროგნოზი არცთუ ისე ცუდია. კერძოდ, რაც ინდიკატური გეგმით იყო გათვალისწინებული, მიღწეულია.

ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა ნოდარ ჯავახიშვილმა თავის გამოსვლაში განაცხადა, რომ ახალი ეროვნული ვალუტის ძირითადი მასა უკვე შემოტანილია და ხდება მისი გადანაწილება რეგიონულ სამსახურებში.

თათბირზე იმსჯელეს ენერგეტიკის საკითხებზე, მიწის გადასახადის დაფარვის პრობლემებზე, განიხილეს აგრეთვე საქართველოს სანაოსნო გემებისა და ნავსადგურების ტექნიკური აღჭურვის მდგომარეობა.

რკინიგზის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა რემი ვამაკიძემ ილაპარაკა რკინიგზის ფუნქციონირების დარგში არსებულ პრობლემებზე. ქალაქების, რაიონების გამგებლებმა და რწმუნებულებმა ყურადღება გაამახვილეს რაიონებში შექმნილ ეკონომიკურ ვითარებაზე, რეფორმების მიმდინარეობაზე, ადგილობრივი და სახელმწიფო ბიუჯეტების ურთიერთდამოკიდებულებაზე.

თათბირზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ — სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ.

— გუშინაც და დღესაც სერიოზული სჯა-ბაასი გვქონდა იმის შესახებ, რომ ამჟამად ქვეყანაში ბევრი რამ იცვლება, — თქვა სახელმწიფოს მეთაურმა. — ჩვენი ქვეყანა გარდამავალი ეტაპის სახელმწიფოა, შეიცვალა ძველი ეკონომიკური მექანიზმი, ახალი პოლიტიკური წყობის ეკონომიკური ბაზა, საბაზრო ეკონომიკა განვითარების ფორმირებისა და სრულყოფის პროცესშია. რა თქმა უნდა, ანგარიშგასაწევია ის, რომ მოძრაობა ახალი წყობის, ახალი ეკონომიკის შესაქმნელად, დაემთხვა პოლიტიკურ არასტაბილურობას, სამოქალაქო ომს, კონფლიქტებს და სხვა გართულებებს. აქ სწორად ითქვა, რომ ანტიკრიზისული პროგრამის შემუშავებით და დამტკიცებით, რომელიც არცთუ ისე შორიულ წარსულს განეკუთვნება, დაიწყო რეალური რეფორმატორული მოძრაობა, მოძრაობა გარდაქმნისაკენ და გარკვეული შედეგები მან უკვე მოგვიტანა. მიმაჩნია, რომ ერთგვარმა ფინანსურმა სტაბილიზაციამ, მასობრივმა ვაუჩერულმა პრივატიზაციამ, რომელიც უკვე ჩვენი ცხოვრების შემადგენელი ნაწილია (მოსახლეობის ძალიან დიდი რაოდენობა ჩართულია ამ პროცესში), ხელი უნდა შეუწყოს და დააჩქაროს მესაკუთრეთა ფენის რაც შეიძლება სწრაფი ფორმირება. ერთგვარი გამოცოცხლება მრეწველობის სხვადასხვა სფეროში, სოფლის მეურნეობაში, მიღწეულია, ყოველ შემთხვევაში, ბოლო ერთი წლისა და ამ საანგარიშო-ნახევარი წლის განმავლობაში. ამაში ვერავინ შეგვედავება. ქვეყანა მიდის მსოფლიო მეურნეობაში საქართველოს ეკონომიკის ინტეგრირების გზით. რაც უფრო გაბედულად განვახორციელებთ რეფორმებს, მით უფრო ღრმა და მასშტაბური იქნება ჩვენი ინტეგრირება მსოფლიო ეკონომიკაში. შეჩერდა, ყოველ შემთხვევაში, მინიმალურ დონეზე დარჩა ინფლაცია და, მე ვიტყოდი, ესეც დასაშვებია. თუ ჩვენ დღევანდელ დონეს შევინარჩუნებთ, მიმაჩნია, რომ ეს გარკვეული წარმატება იქნება, რადგან ეკონომიკის შემდგომი გამოცოცხლება და პროდუქციის მოცულობის ზრდა, მისი ხარისხის გაუმჯობესება, ბუნებრივია, უკეთეს შედეგებს მოგვცემს მოსახლეობის კეთილდღეობის გაუმჯობესების თვალსაზრისით.

ერთგვარად სტაბილური გახდა სამომხმარებლო ფასები. შარშან ფასების ლიბერალიზაციასთან დაკავშირებით მოსახლეობამ აუტანელი აიტანა, 15-20-ჯერ გაიზარდა სამომხმარებლო ფასები და, ალბათ, ჩვენ დაჩოქილი უნდა ვუხდიდეთ მადლობას საქართველოს მოქალაქეებს, რომ ისინი გაგებით შეხვდნენ ამ მძიმე განსაცდელს და გამოცდას. წლეულს სამომხმარებლო ფასები დაახლოებით 10 პროცენტის დონეზე მატულობს, რაც შედარებით, მაინც ნორმალურ მოვლენად შეიძლება ჩაითვალოს. რაც შეეხება ბოლო თვეებს—ივნის-ივლისს, აქ ლაპარაკია სამომხმარებლო ფასების შემცირებაზე — დაახლოებით ერთი პროცენტით. ეს ბევრს არ ნიშნავს, მაგრამ მაინც გარკვეული ტენდენციაა. ამას ყველაფერს ჩვენი მოსახლეობა რეალურად გრძნობს.

ვფიქრობ, ჩვენს ცხოვრებაში დიდი მოვლენა იქნება ეროვნულ ვალუტაზე გადასვლა. ამ საკითხზე მომუშავე ბლოკის წარმომადგენლებს გთხოვთ, გააძლიეროთ აქტიური მუშაობა, რათა ქვეყანა სერიოზულად მოემზადოს ეროვნული ვალუტის შემოსაღებად. ეროვნული ვალუტის შემოღებამ ყოველგვარი ეჭვი უნდა გაფანტოს მოსახლეობაში. ჩვენი მოქალაქეების გარკვეულ ნაწილში არ არის რწმენა, რომ ეს იქნება მყარი ვალუტა, რომ იგი ხელს შეუწყობს ფინანსურ, ეკონომიკურ სტაბილურობას და ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რათა არა მარტო ეს იდეა, არამედ ეროვნული ვალუტის შემოღების რეალური ნაბიჯი

(დასასრული მე-2 გვ.).

ტკივილი

ძმები ასე არ იქცევიან

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრესსამსახურის განცხადება

გაუთვალისწინებელი რამ მოხდა. შეწყვიტა რა მრავალი წლის დუმილი, ჩეჩნეთის რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ თავი შეგვახსენა (თუმცა გაუგებარია, ვინ არის იგი და სად არის) იმით, რომ გააკეთა განცხადება, პროტესტი გამოუცხადა საქართველოს იმასთან დაკავშირებით, რომ დაადგა აშკარა „პრორუსულ პოლიტიკას“, რომ მის თანამემამულეებს მოიხსენიებს მხოლოდ და მხოლოდ „ბარბაროსებად და მკვლელებად“. ავტორებმა „ჩეჩნეთთან ძმობაც“ შეგვახსენეს.

საქართველოსადმი ასეთი ყურადღება შემთხვევითი სულაც არ არის. რაკი გამანადგურებელი დარტყმა იგემეს რუსეთის ფედერალური ჯარებისაგან, ჩეჩნეთს გაახსენდა საქართველოს რესპუბლიკის ოდინდელი, ისტორიული მეგობრობა, რომელიც არაერთგზის დახმარებია მას გაჭირვების ჟამს. სამწუხაროდ, ყოველივე ეს დაივიწყეს, უგულებელყვეს 1992 წელს. უფრო მეტიც, მეურვეობდა რა ვ. არძინბას სეპარატისტულ რეჟიმს, რომელიც ჩეჩნეთს შეჰპირდა, რომ შავ ზღვაში გასასვლელს, მილიარდიან შემოსავალს მისცემდა და „ასევე მარადიულ ძმობას ეფიცებოდა საერთო მტერზე გამარჯვების შემდეგ“, ჩეჩნეთის ხელმძღვანელობამ პრაქტიკულად გამოუცხადებელი ომი დაიწყო ქართველი ხალხის წინააღმდეგ, რაშიც განსაკუთრებულ „გულმოდგინებას“ იჩენდა ეგრეთ წოდებული „აფხაზური ბატალიონი“ კარგად ცნობილი ტერორისტის შამილ ბასაევის მეთაურობით. რომელიც გუდაუთის ხროვამ „შამილ მეორის“ მეტსახელით მონათლა. მისი ბოევიკები მასხარად იგდებდნენ ქართველებს, ხოცავდნენ, ვენებს უჭრიდნენ, სვამდნენ ბავშვთა სისხლს, ცოცხლად წვავდნენ მათ, აუპატიურებდნენ ქალებს, ყურებს, ცხვირს აჭრიდნენ სამხედრო მოსამსახურეებს, თვალებს სთხრიდნენ მათ... და ეს ყველა ფაქტი როდია. საქართველოს პროკურატურას აქვს მდიდარი მასალა, რომელიც მოწმობს გენოციდს, აფხაზეთში ჩეჩენთა მხეცობას, ტერორიზმის გავრცელებას.

ეს ბარბაროსობა და მკვლელობაა? რა თქმა უნდა.

ახლა მოვიყვანთ 1992 წლის 28 აგვისტოს ეგრეთ წოდებული კავკასიის მთიელ ხალხთა კონფედერაციის დადგენილებას, კონფედერაციისა, რომელსაც ჯ. დუდაევი მეურვეობდა, და არ სჭირდება კომენტარი: „გამოცხადდეს ქალაქი თბილისი, აგრეთვე მთელი საქართველო აქტიური მოქმედების ზონად. გამოვიყენოთ ბრძოლის ყველა მეთოდი საქართველოს შეიარაღებული ძალების წინააღმდეგ...“.

ასე იქცევიან ძმები? არა.

არავითარი პრეტენზია არა გვაქვს მეგობარი, მშვიდობიანი ჩეჩენი ხალხისადმი, მაგრამ, ამავე დროს, ვგმობთ დამნაშავეებს, ბანდიტთა ჯგუფების მოქმედებას აფხაზეთში.

დასასრულ, რუსეთის მიმართ ჩვენი პოზიციის შესახებ.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრესსამსახური ამტკიცებდა და ამტკიცებს: სეპარატისტულად განწყობილი გარკვეული პირები გარკვეულ დახმარებას უწევდნენ ვ. არძინბას, რის გამოც ახლა მწარედ ნანობენ... საქართველოსა და რუსეთის ბედი განუყოფელია ერთმანეთისაგან. ცხოვრება ამას სულ უფრო დამაჯერებლად ადასტურებს. ჩვენ გვწამს და ყოველთვის ვიწამებთ დემოკრატიულ რუსეთს, თუნდაც ეს ძალიანაც არ მოსწონდეთ განცხადების ავტორებს.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრესსამსახური.

მერვე სვეტი

გადაეცა რწმუნებათა სიგელები

15 აგვისტოს საქართველოში ინდოეთის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა რაჯენდრა რაიმ რესპუბლიკის პარლამენტის მიღებათა დარბაზში ელჩის უფლება-მოვალეობის დამადასტურებელი რწმუნებათა სიგელები გადასცა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს — სახელმწიფოს მეთაურს ედუარდ შევარდნაძეს.

გამართულ საუბარში ბატონმა რაჯენდრა რაიმ აღნიშნა, რომ ინდოეთის ხელისუფლება ინტერესით ადევნებს თვალყურს საქართველოში მიმდინარე მოვლენებს და დადებითად აფასებს რესპუბლიკის ხელმძღვანელობის მიერ აღებულ კურსს ქვეყანაში მიმდინარე პროცესის სტაბილიზაციის საქმეში.

სახელმწიფოს მეთაური მიესალმა ელჩის საქართველოში ჩამოსვლას. მან მადლიერება გამოთქვა ინდოეთის ხელმძღვანელობისადმი საერთაშორისო ორგანიზაციებში მხარდაჭერისათვის. რაც შეეხება ინდოეთთან თანამშრომლობას, — განაცხადა ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ, — იგი ორივე ქვეყნისათვის სასიკეთო შედეგს გამოიღებს.

ცნობები აფხაზეთიდან

ჰუმანური დახმარება — ბანდიტებს

სეპარატისტულ წრეებთან დაახლოებული წყაროებიდან ცნობილი გახდა, რომ ვ. არძინბას მითითებით აფხაზეთში რუსეთიდან მიღებული ჰუმანური დახმარება „დაბინავდა“ ჯარის საწყობებში: „იგი საჭიროა ჩვენი მამაცი ჯარისკაცების გამოსაკვებად“, — თქვა მან ერთ-ერთ თათბირზე გამოსვლისას.

ადგილობრივმა მოსახლეობამ უკმაყოფილება გამოთქვა სეპარატისტთა ლიდერის გადაწყვეტილების გამო.

ამავე დროს, როგორც თვითმხილველნი გვატყობინებენ, ჰუმანური დახმარების ნაწილით ვაჭრობენ კერძო ფარდულებში.

სცემენ, აწამებენ

მორიგი ბარბაროსული დანაშაული ჩაიდინეს აფხაზთა ბანდფორმირებებმა გალის რაიონში. სოფელ დუმურიშში ისინი შეცვივდნენ ადგილობრივი გლეხის მურმან წულაიას სახლში და ცეცხლსასროლი იარაღი მოსთხოვეს, როცა უარყოფითი პასუხი მიიღეს, გამხეცებულმა ბანდიტებმა იგი გალის მილიციაში მიიყვანეს, სადაც ცემა და წამება დაუწყეს. მხოლოდ რუსეთის სამშვიდობო ძალების ჩარევამ იხსნა მ. წულაია, რომელიც ოპერატიულად მიიყვანეს ზუგდიდის საავადმყოფოში.

ანალოგიური დანაშაული ჩაიდინეს ბანდიტებმა სოფელ პირველი გალის მშვიდობიან მოქალაქეთა წინააღმდეგაც.

●

შეგიძლიათ გაეცნოთ ნორმატიულ დოკუმენტს

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა თავის სხდომებზე ივლისში მიიღო უმნიშვნელოვანესი დადგენილებები, რესპუბლიკაში შექმნილი სოციალურ-ეკონომიკური ვითარების გასაჯანსაღებლად. მათ შორის — „საქართველოს რესპუბლიკაში საავტომობილო გზაზიდვების მოწესრიგების დამატებით ღონისძიებათა შესახებ“; „მიწის ნაკვეთების მიღება-ჩაბარების აქტების გაცემის დაჩქარების შესახებ“ და სხვა.

მთავრობის ამ დადგენილებებს და სხვა ნორმატიულ დოკუმენტებს შეგიძლიათ გაეცნოთ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის სოციალური მართვისა და ინფორმაციის ცენტრის სპეციალიზებულ სამთავრობო ბიბლიოთეკაში, მისამართი: ილია ჭავჭავაძის პროსპექტი 24, ტელ.: 22-87-05.

ხიდები

საქართველოსა და სომხეთის რესპუბლიკების მთავრობათა დელეგაციების კეთილი ნება

ტრადიციად დამკვიდრდა, რომ ორი მეზობელი ქვეყნის საქართველოსა და სომხეთის მთავრობათა დელეგაციები პერიოდულად ერთმანეთს ხვდებიან სახელმწიფოთა შორის ურთიერთობაში წამოჭრილი საკითხების, პრობლემების მოსაწესრიგებლად: მეგობრობა მეგობრობად, მაგრამ ახალი ეკონომიკური ურთიერთობანი ქვეყნებს შორისაც იმავე პრინციპს ემყარება, ძმამ ძმას ანგარიში რომ უყო და ძმებად დარჩნენ მაინც.

საზეიმო სომხეთში, სტეპანავანში 14 აგვისტოს, შეიძლება ითქვას, მხოლოდ შეხვედრის ცერემონიალი იყო. დანარჩენი — საქმე, არცთუ მარტივი, თუნდაც იმიტომ, რომ ეკონომიკურ ურთიერთობათა ისეთ რთულ შემადგენელს განიხილავდა, როგორიცაა ენერგოშემცველები, ფინანსები, სასაზღვრო ვაჭრობა, ტრანსპორტი და ასე შემდეგ.

საქართველოს მთავრობის დელეგაციას მეთაურობდა რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ოთარ ფაცაცია, მასპინძლებისას — სომხეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი გრანტ ბაგრატიანი.

ჩვენს დელეგაციაში იყვნენ ვიცე-პრემიერი ზურაბ კერვალიშვილი, ფინანსთა და ვაჭრობის მინისტრები დავით იაკობიძე და ერთაზ ზანქალიანი, საგარეოეკონომიკურ ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე იოსებ ბაზაშვილი, კონცერნ „საქგაზის“ თავმჯდომარე ბორის სარალიძე, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე მიხეილ უკლება, „საქგაზის“, „საქენერგოს“, „პურპროდუქტების“, რკინიგზის დეპარტამენტის ხელმძღვანელები.

მოლაპარაკების საბაზისო პოზიცია, რომელსაც ორივე მხარე დაეთანხმა, ასეთი გახლდათ: ჩამოყალიბდა საქართველოსა და სომხეთის სახელმწიფოთა შორის ურთიერთობის ისეთი სისტემა, რომელიც ორივე ქვეყნისათვის სასარგებლო, მომგებიანია და ამ ქვეყნებისა და რეგიონის სტაბილიზაციას უწყობს ხელს. საჭიროა ურთიერთობის დინამიზაცია, რომელსაც მთავრობათა, დელეგაციების ეს შეხვედრები სერიოზულ იმპულსს აძლევს.

სწორედ ამიტომ, 14 აგვისტოს შეხვედრაზე შეეცადნენ ჩიხის სადაო სიტუაციების განმუხტვა. ჩრდილოეთ კავკასია-ამიერკავკასიის გაზსადენის ცალკეული უბნების ობიექტების დამთავრება, ამ მაგისტრალის საკუთრების, შესრულებულ სამუშაოთა ანაზღაურების და სხვა პრობლემებზე.

სომხეთს აქ თავისი ინტერესები აქვს, საქართველოს, თავისთავად ცხადია, — თავისი.

სხვა პრობლემაა საქართველოს გავლით სომხეთისათვის ბუნებრივი გაზის სრულად მიწოდების საკითხი. „საქგაზის“ დეპარტამენტი დანაკლისს ავარიულ ტრასაზე დიდი დანაკარგებით ხსნის, სომხეთს ეს არ აინტერესებს — გიხდით ტრანზიტის ფულს, მოგვაწოდეთ.

მაგრამ სომხეთის გადახდილი ფული ტრასის რემონტის ღირებულებასაც არ ყოფნის, გაზსადენის, რომელიც ფაქტობრივად მხოლოდ სომხეთს ემსახურება.

განსახილველად გამოტანილ საკითხებს იმდენი შიდასახელმწიფოებრივი ნიუანსი ახლავს თან, რომ ორივე დელეგაციამ, ეგრეთწოდებული წუთშესვენებები აიღო, რათა თავ-თავიანთ წევრებთან მოეთათბირებინათ და საერთო ნიშნულამდე მისულიყვნენ.

განსაკუთრებით მწვავედ დადგა ვალების გადახდის საკითხი. ჩვენს ფინანსთა მინისტრს მიაჩნია, რომ ვალი არა გვაქვს, რადგან სახელმწიფოს სომხეთისაგან კრედიტი არ აუღია. ამიტომ მოვიწვიოთ საერთაშორისო აუდიტორები და გავარკვიოთ პრობლემა.

სომხეთის მხარე თანახმაა აუდიტორული შემოწმების, მაგრამ დარწმუნებულია, რომ ამ შემთხვევაში საქართველოს ვალი, რომლის გადახდის პირობები მან უკვე სამჯერ შეგვიმსუბუქა, გაიზრდება.

ბატონ ოთარ ფაცაციას განმარტების შემდეგ, რომ ჩვენსა და სომხეთს შორის ფინანსურ ვალდებულებათა დოკუმენტების მხოლოდ 60 პროცენტი დადასტურდა საქართველოში და აუცილებელია დანარჩენის სომხეთში მოძებნა, გამოიყო კომისია, და უკვე საბოლოოდ შესწავლილი საკითხის განხილვის ვადები.

მწვავე პრობლემები იყო სხვაც. მაგრამ, რაც მთავარია, იყო კონსტრუქციული თანამშრომლობის მთავარი ფაქტორი, რომელიც საბოლოო ჯამში გადამწყვეტი აღმოჩნდა. იგი კიდევ უფრო გააძლიერა სრულმა თანხმობამ სასაზღვრო ვაჭრობის, რკინიგზის ტრანსპორტის, შინაგან საქმეთა სამინისტროების თანამშრომლობის, საბაჟო და სასაზღვრო ურთიერთობათა განხილვით მიღწეულმა შეთანხმებებმა.

საქ. კორ.

სოფელი

წინანდალში მალე რთველი დაიწყება

თელავის რაიონის სოფელ წინანდლის აგროფირმა „წინანდლის“ მშრომელებმა დროულად ჩაატარეს ვენახის ყველა სამუშაო და წელს 200 ჰექტარი ვენახის ფართობიდან 700-750 ტონა ყურძენს ელიან.

მალე რთველი დაიწყება და მშრომელი კაცის კვევრები ქართული ვაზის მაჭრით აივსება.

სურათზე: სოფელ წინანდლის აგროფირმა „წინანდლის“ მიწათმომწყობი რობინზონ ხატიაშვილი, ფირმის მთავარი აგრონომი არჩილ მეგუთნიშვილი და სოფლის საკრებულოს გამგებელი გურამ მატუაშვილი ამოწმებენ ყურძნის მსხმოიარობას.

თედო ნიკოლაიშვილის ფოტო.

ზამთარი მალე მოვა

„სიმენსი“ იწყებს მუშაობას, და პრემიერის რეპლიკა სხვა თემაზე

ვინც, ასე თუ ისე, თვალს ადევნებს პრესას და ტელეპროგრამებს, იცის, რომ გამოზამთრებისათვის მზადება კონცენტრირებულია „თბილსრესზე“ — თბილისის სახელმწიფო რაიონული თბოელექტროსადგურის მართლაც მასშტაბურ შეკეთებასა და რეკონსტრუქციაზე.



კაპიკს კაპიკზე, უფრო ზუსტად, ცენტს ცენტზე აგებს რესპუბლიკის მთავრობა ჩვენთვის გაღებული სარეაბილიტაციო სესხებიდან იმ მილიონობით დოლარის შესაგროვებლად, რაც მინიმალურად აუცილებელია ნაავარიალი, ვანდალური ექსპლუატაციით ხელში შემოცვეთილი და ყოველმხრივ ამორტიზებული ძველი თუ ახალი ბლოკების მკვდრეთით აღსადგენად.

კატასტროფის შედეგების დემონსტრირებასავითაა „თბილსრესი“ დღეს, კატაკლიზმების რეალისტური სურათი — მკვდარი რკინის ქალაქი, რომელიც რაღაც სასწაულად ჯერ კიდევ ფეხზე დგას და არ დაქცეულა: ნახანძრალი კონსტრუქციები, დაგრეხილი, როგორც საქსაული უდაბნოში, შავი ჩონჩხის ჩამსხვრეული მკერდიდან წამოშლილი ნეკნებივით ამოჩრილი არმატურა და ყავისფერი, ყავისფერი ჟანგი ყველგან — კართან ამოსული იავარქმნის ინდუსტრიული ბალახი.

ძნელად მოერევა სახაფლაოს განწყობილებას აქ პირველად მოხვედრილი კაცი. მაგრამ თუ კიდევ მოახერხებთ ჩამოსვლას, თუ ქარში მოქანავე, კიდული კიბეებით, ჩატეხილი გადასასვლელებით, რომელთა მოყანყალებულ სამაგრებს მინდობილი, საკუთარ ნაბიჯებს შორის უხინჯო გამჭვირვალეხაში ქვემოთ დარჩენილი ათივე სართულის სიმაღლეს დედამიწის მიზიდულობის კანონის განსახიერებად მთელი სხეულით აღიქვამთ, თუ არ დაიზარებთ და შეძლებთ აღმა-დაღმა სიარულს ამ ქაოსურ ზედაზორასა და ცეცხლმოკიდებული აგვისტოს ხვატში, თანდათან შეამჩნევთ სიცოცხლის დაფარულ ძარღვის ფეთქვას, რომლის რიტმსა და ლოგიკას აქ ყველაფერი ემორჩილება.

დააფიქსირებთ, მაგალითად, რომ ამ შენობიდან ნაგავი და ნანგრევები პირწმინდად გაუტანიათ; იქ კი კედლები არა მარტო შეულესიათ, შეუთეთრებიათ კიდეც და წინა სტუმრობის უკუნი სიბნელე ახალი ელექტროგაყვანილობის სინათლით შეცვლილა; ამ უზარმაზარ დარბაზში ერთმანეთს მიბმული რკინის მწვანე კარადების რამდენიმე წყება კაბელების ჩასადებად არის გამზადებული (თუ სწორად გავიგე); იქ ტიხრით გაუმიჯნავთ საპარატო, აქ, პირიქით, კედელი მოუხსნიათ და სივრცე გაუზრდიათ; ზემოთ, საკომპრესორო ცემენტის იატაკს ახალი დუღაბით ფარავენ. კიდევ ერთი ახვლა და ქვაბის დოლის (თავისთავად დიდი ქვაბის) იზოლაციის შეცვლის სამუშაოებისთვის დაუწყიათ მზადება, კიდევ ერთი გადახვლა და წყლის ქიმიური გაწმენდის საამქროში მოხვდებით — რეცხავენ ვერტიკალურ სათავსებს და სპეციალური დანადგარის ჰაერის ცხელი ჭავლით აშრობენ.

ტრავერსი გრძელდება: „ახალი სიმაღლე გვიხმობს“!

ავიდეთ.

სახურავზე, ჟანგის ორიგინალურ აჟურულობაში მემაქმანეებივით ხელსაქმობენ შემდუღებლები — დასაჭრელი იჭრება, დასამაგრებელი — მაგრდება, ქვანძი ქვანძს ემატება და ცვივა ციცინათელები ელექტროდებიდან. მაგ, ჯერ კიდევ რამდენი საქმეა გასაკეთებელი და მოსასწრები! ამიტომ ოსტატების არმოცდენის კეთილშობილური ლოზუნგით ვაჩქარებთ ქვედა ჰორიზონტზე ჩასვლა.

აქ ერთი ტურბინა, საგულდაგულოდ, ფურცელ-ფურცელ გახსნილი და ჟანგმოცილებული უკვე დევს განკუთვნილ ადგილზე და მონტაჟდება ელექტროენერგიის ეს წყარო. მეორის გაწმენდის სამუშაოებიც დაიწყეს.

ერთი ჩასვლაც და, მგონი, დამთავრდა.

ამ ალპინისტურ მარშრუტს ყოველ პარასკევს გადიან საქართველოს პრემიერ-მინისტრი ოთარ ფაცაცია, მისი მოადგილე ზურაბ კერვალიშვილი, საქენერგოს დეპარტამენტისა და აღდგენით სამუშაოებთან დაკავშირებულ უწყებათა ხელმძღვანელები. რა თქმა უნდა, — ჟურნალისტებიც, რომლებიც თანდათან იკლებენ წონაში.

„თბილსრესის“ გენერალური დირექტორის ბადრი დარჩიას კაბინეტში სამუშაოდ, კვირის შედეგების შესაჯამებლად ჯდება ოპერატიული თათბირი.

აქ გამართული საუბრის გადმოცემას თავს აშკარად ვერ მოვაბამ, რადგან მათემატიკის საგანივითაა პროფესიონალთა ეს შეხვედრა — წინა ლექციას გამოტოვებ და მომდევნოს ვერაფერს გაუგებ. ამასთან, ერთგვარად დაშიფრულ, მხოლოდ მათთვის გასაგებ ენაზე საუბრობენ (ზოგჯერ საკმაოდ ემოციურადაც). მიდი და გაიგე. შეკითხვებად ხომ არ იქცევი ბოლოს და ბოლოს?

ვაცალოთ მუშაობა და დილეტანტიზმის ყოვლისშემძლეობის იმედად დავრჩეთ.

(დასასრული მე-2 გვ.)

„სიმენსი" იწყებს მუშაობას: და პრემიერის რეპლიკა სხვა თემაზე

(დასასრული)

ვიქტორ ბოდნია სააქციო საზოგადოება „როსენერგოს" ფირმა „ალიანსის" პრეზიდენტია. იგი პირადად ხელმძღვანელობს „თბილსრესის" მომარაგებას საჭირო მასალითა და მოწყობილობებით.

ვიქტორ ბოდნია პრემიერს მოახსენებს: გასული პარასკევისთვის 72 პოზიციით მოწოდებათა გრაფიკი დაცულია. რუსეთის 49 ქალაქიდან შემოდის სარემონტო მასალები, მოწყობილობა, ტექნიკა, შემოდის რიტმულად, რაც მესამე ბლოკის სამუშაოთა დროული დამთავრების რეალური პირობაა. დაფინანსება ნორმალურად მიმდინარეობს (ჩვენი პირობებიდან გამომდინარე), მაგრამ დამატებითი მასალები, რომლებიც სამუშაოთა დასაჩქარებლად გახდა აუცილებელი, დამატებით 3 მილიარდ რუბლს მოითხოვს. 15 მილიარდ 200 მილიონ რუბლზე უკვე გაფორმებულია ხელშეკრულებები, 8 მილიარდი გადახდილია. დანარჩენების გასწორებას ითხოვენ მომმარაგებლები.

სექტემბრის პირველ ხუთდღიურში დაპირდნენ გადახდას.

პრობლემები — ამ მასალებით დატვირთული ვაგონების მოძრაობაზე კონტროლი და დროული შემოზიდვა, რაც შესაძლებელია — თვითმფრინავით. საავიაციო ქარხანას თხოვეს საჰაერო ტრანსპორტით უზრუნველყოფა. საქართველოს წარმომადგენლები „დაჯდებიან" აზერბაიჯანის რკინიგზაზე, საზღვარზეც იქნება წარმომადგენელი ყველა შესაძლო დაბრკოლების მოსახსნელად.

უახლოეს 10 დღეში კი 14 ვაგონი მასალებით მოადგება „თბილსრესს".

მესამე ბლოკზე ტაგანროგიდან მილების მიუღებლობა გრაფიკის დარღვევის საშიშროებას ქმნის. მერვე ბლოკზე პრობლემები არა აქვთ, წყლის ქიმიური გაწმენდის საამქრო მჟავაგამძლე მასალის შემოტანის დაჩქარებას ითხოვს.

კადრების სწავლება დამტკიცებული გეგმით მიმდინარეობს. 22 კაციანი ჯგუფი ამთავრებს მომზადების სრულ სურათს.

იყო სხვა საკითხებიც, რომელთა გადაჭრის გზები, როგორც ახლა უყვართ თქმა, იქვე „დაარეგულირეს". გამორჩეულად ყურადსაღები მაინც პრემიერ-მინისტრის ერთი რეპლიკა იყო: 23 აგვისტოს თბილისში ჩამოდის ევრობანკის წარმომადგენელი ბატონი ფულტონი, რომელიც შეისწავლის საკითხს — არის თუ არა საქართველო მიღებული კრედიტების გადამხდელი ქვეყანა, იღებს თუ არა გაცემული ელექტროენერგიის გადასახადებით დადგენილ საზღაურს საქენერგო? ჩვენთან, მოგეხსენებათ, მოსახლეობაც და საწარმოებიც უფასო ელექტრომომსახურებას მიიჩვევენ. თუ 23 აგვისტომდე მაქსიმალურად არ „ამოვილეთ" ფული, ჩათვალეთ, რომ დაგვიხშობენ იმ ერთადერთ ფინანსურ წყაროს, რომელიც „თბილსრესის", ენგურჰესის (კაშხალზე აქ ავარიული მდგომარეობაა) და, საერთოდ, საქართველოს ენერგოსისტემის აწყობასა და გამართვისათვის მიმდინარე სამუშაოებს კვებავს.

ამ „შავი პერსპექტივის" განწყობილებით რომ არ დავამთავრო რეპორტაჟი, გაცნობებთ: „თბილსრესზე" ფირმა „სიმენსის" ორი წარმომადგენელი უკვე ჩამოვიდა. „სიმენსი" ოფიციალურად დაიწყებს მუშაობას. პრემიერი ფირმის წარმომადგენლებს შეხვდა.

• • •

ჩვენც შევხვდით პრემიერ-მინისტრს და ამ საწარმოო ვითარებაში რესპუბლიკის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების შესახებ რამდენიმე შეკითხვა დავუსვათ, მით უფრო, რომ ბატონი ოთარ ფაცაცია აქედან პირდაპირ პარლამენტის სხდომაზე მიდის:

— ბატონო ოთარ! პარლამენტის საგანგებო სესიის 8 აგვისტოს სხდომაზე მიღებულია კონსტიტუციის უმნიშვნელოვანესი პუნქტი, რომლის თანახმადაც საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი არის საქართველოს სახელმწიფოს და აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაური. თქვენი დამოკიდებულება ამ ფაქტისადმი?

— მხოლოდ დადებითი. მივესალმები ამ გადაწყვეტილებას, რადგან, პირადად მე და მინისტრთა კაბინეტის შემადგენლობის დიდი ნაწილი ყოველთვის ძლიერი საპრეზიდენტო მმართველობის მომხრენი ვიყავით, ეგრეთ წოდებული, ამერიკული მოდელის ჭრილში. ჩვენი შენიშვნები ამ მიმართებით თავის დროზე წარვადგინეთ საკონსტიტუციო კომისიაში.

მესმის, რომ საკითხის ამგვარ გადაწყვეტას გარკვეული უხერხულობა სდევს თან, მაგრამ საქართველოში დღევანდელ, გარდამავალ ეტაპზე არსებული სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარება მაინცა და მაინც ძლიერ საპრეზიდენტო მმართველობას მოითხოვს. მსოფლიო გამოცდილებაც ამგვარი გადაწყვეტილების სასარგებლოდ მეტყველებს.

არსებითად გადამწყვეტი აქ ჩვენი ქვეყნის რეალობაა.

ფაქტია, რომ საქართველოს ეკონომიკის ურთულესი მდგომარეობა, რომელსაც კიდევ უფრო ამძაფრებს დარღვეული ტერიტორიული მთლიანობა, აფერხებს ეკონომიკური რეფორმების სრულ და ინტენსიურ რეალიზაციას. ეჭვს არ უნდა იწვევდეს, რომ ამ მდგომარეობიდან ერთადერთი რეალური გამოსავალია ძლიერი ხელისუფლების შექმნა. დღევანდელ ეტაპზე საპრეზიდენტო რესპუბლიკა არის ის მოდელი, რომელიც შესაძლებლობას მოგვცემს ავაშენოთ ქართული სახელმწიფოებრიობა. ჩემი აზრით, პრეზიდენტი როგორც აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაური, უნდა ქმნიდეს და ხელმძღვანელობდეს თანამოაზრეთა გუნდს, რომელიც ერთიანი ძალისხმევით, რეფორმის საერთო პროგრამით შეძლებს საქართველოს კრიზისიდან გამოყვანას. რა თქმა უნდა, აქ გათვალისწინებული უნდა იყოს ყველა იმ კონსტრუქციული ძალის მონაწილეობა, რომლითაც ძლიერი ხელისუფლების განხორციელება შეეძლებათ და გამოთქვამენ საამისო სურვილს. მიმაჩნია, რომ მთავრობის გუნდური პრინციპით ფორმირება, რომელსაც სათავეში უდგას პრეზიდენტი, უზრუნველყოფს თანამიმდევრული, შეწონასწორებული და შედეგიანი პოლიტიკის განხორციელებას.

უმნიშვნელოვანესად მესახება აგრეთვე პრეზიდენტის, როგორც აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაურის, და პარლამენტის ურთიერთობა. ამ ჭრილში პრინციპულად მნიშვნელოვანია პრეზიდენტის მიერ პარლამენტისათვის პერიოდულად ანგარიშის წარდგენა ქვეყნის საშინაო და საგარეო ვითარების შესახებ. ეს ფაქტობრივად ნიშნავს პარლამენტის აქტიური როლის დაკანონებას საშინაო თუ საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების ფორმირებაში.

როგორც ხედავთ, ძლიერი საპრეზიდენტო მმართველობა პარლამენტის როლს კი არ აკნინებს, არამედ, აძლიერებს.

ამასვე ადასტურებს ბიუჯეტის ფორმირების საკითხში პრეზიდენტის და პარლამენტის თანამშრომლობაც.

ასე რომ, პარლამენტის გადაწყვეტილება, რომელზეც შემკითხეთ, დემოკრატიზაციის განვითარებას ემსახურება.

— მისაღებად მიგაჩნიათ მთავრობის ჩამოყალიბების ახალი მექანიზმი?

— დიახ. ეს მექანიზმიც, რომლის განხორციელება ეკისრებათ პრეზიდენტსა და პარლამენტს, ასევე — მთავრობის წევრების საქმიანობის რეგლამენტაციის, უფლებამოსილების, სამინისტროთა შექმნის, მინისტრის ფუნქციის, მთავრობისა და პარლამენტის ურთიერთობის საკითხთა განმსაზღვრელი მუხლები, მისაღებად მიმაჩნია.

— ორიოდ სიტყვა ვიცე-პრეზიდენტის ინსტიტუტზე.

— ვიცე-პრეზიდენტი არავითარ შემთხვევაში, არ უნდა იყოს ბუტაფორიული ფიგურა, რომელიც მხოლოდ წარმომადგენლობითი ფუნქციებით იქნება აღჭურვილი, მით უფრო, თუ მას დაევალება დროდადრო მინისტრთა კაბინეტის სხდომების წარმართვა.

კარგად მოგეხსენებათ, რომ კონსტიტუცია თეორიისა და პრაქტიკის ნაერთი ძირითადი კანონია. პრაქტიკა, ანუ საქართველოს სუვერენული რესპუბლიკის მთავრობის მოღვაწეობის ანალიზი კი, აი, რა დასკვნების გამოტანის საშუალებას გვაძლევს.

პირველი. სახელმწიფოს მეთაური, როგორც წესი, არა მარტო ესწრებოდა მინისტრთა კაბინეტის სხდომებს, არამედ წარმართავდა მათ. ამიტომ კონსტიტუციაში ამ მომენტის შეტანა ყველა სხვა არგუმენტთან ერთად ჩვენი პრაქტიკის დაფიქსირებაც გახლავთ კანონის დონეზე.

მეორე. მოგეხსენებათ, რომ მთავრობის მუშაობა მარტო სხდომების ჩატარება არ არის. ეს ყოველდღიური საქმის კეთებაა, ხაზს ვუსვამ — საქმის, რადგან იგი არის და უნდა იყოს მინისტრთა კაბინეტის მოღვაწეობის უმთავრესი კრიტერიუმი. ის, რომ ამ შემთხვევაში საჭიროა ორგანიზაციული მართვისა და კონტროლის კონკრეტული ცენტრი, ეჭვს არ უნდა იწვევდეს, რადგან პრეზიდენტი ამ ფუნქციას, ალბათ, ვერ შეითავსებს.

რა ინსტიტუტის შექმნას ვაპირებთ ამ შემთხვევაში?

თუ ამის გაკეთება ვიცე-პრეზიდენტს დაევალება, ეს პირდაპირ და აშკარად უნდა განისაზღვროს. მარტო იმის აღნიშვნა, რომ პრეზიდენტის დავალებით იგი ატარებს მინისტრთა კაბინეტის სხდომებს, რა თქმა უნდა, საკმარისი არ არის. ასეთი წარმომადგენლობითი ფუნქციით აღჭურვილი ვიცე-პრეზიდენტი საგანგებო დავალებათა ელჩს ან უპორტფელო მინისტრს უფრო დაემსგავსება. თუ მას არ ექნება უფლება, ხაზს ვუსვამ — კონსტიტუციური უფლება, რეალური ძალა, წარმოუდგენელია, რომ მისმა მოღვაწეობამ სამინისტროებთან ურთიერთობაში რეალური ნაყოფი გამოიღოს.

— არჩევნების ჩატარების ვადებისა და პრინციპის შესახებ რას იტყვით?

— შესაძლებელია თეორიული და პრაქტიკული არგუმენტების მთელი სისტემის ჩამოყალიბება არჩევნების ერთდროულად მაჟორიტარული და პროპორციული პრინციპით ჩატარების საწინააღმდეგოდ მაგრამ ვრცელი დასაბუთებისთვის, ალბათ, სხვა ადგილია საჭირო. ვიტყვი მხოლოდ, რომ საზოგადოებრივი აზრი უარყოფითად არის განწყობილი პროპორციული პრინციპისადმი.

არჩევნები, რა თქმა უნდა, დაკანონებულ ვადაში უნდა ჩატარდეს. მიმაჩნია, რომ არჩევნების გადატანა უარყოფითად იმოქმედებდა არა მხოლოდ ქვეყნის პოლიტიკურ ვითარებაზე, არამედ, განსაკუთრებით, ქვეყნის ეკონომიკაზე. ახალი პარლამენტის, ასევე ყველა სახელმწიფო სტრუქტურის ფორმირება შემოდგომა-ზამთრის პერიოდში უნდა დამთავრდეს. ახალი წლიდან ყველა სახელმწიფო სამსახურმა კონკრეტული პროგრამით უნდა დაიწყოს მოღვაწეობა. ყველა სხვა შემთხვევაში კიდევ ერთი სამეურნეო წელიწადი შეეწირება პოლიტიკურ ამბიციებს.

— ბატონო ოთარ, ალბათ, თქვენ ჩამოყალიბებული გაქვთ გარკვეული პოზიცია იმ ეროვნული ყრილობის მოწვევისადმი, რომელზეც დღეს საზოგადოებრიობის ყურადღების კონცენტრაციას ცდილობენ.

— რა თქმა უნდა, მაქვს. არადემოკრატიულს ამაში არაფერს ვხედავ. როგორც იცით, ცივილიზებულ ქვეყნებში ასეთი პრაქტიკა არსებობს. მაგრამ ვფიქრობ, რომ იმ კეთილშობილურ იდეებს, რომელთა ქადაგებას აპირებს ეს ყრილობა, განხორციელება პარლამენტში უწერია, ანუ ხალხის მიერ არჩეულ იმ წარმომადგენლობითსა და საკანონმდებლო ორგანოში, რომელიც საამისოდ არის მოწოდებული.

ორხელისუფლებიანობის შექმნის ყოველგვარი ცდა კრახით დამთავრებულა. ასეთ კატასტროფაში ყველაზე მეტად ქვეყანა, სახელმწიფოებრიობა, ხალხი დაზარალებულა. მდგომარეობის გამოსწორებას ისტორიული პერიოდები დასჭირვებია. ვინ იძლევა იმის გარანტიას, რომ საქართველო იქნება გამონაკლისი? საკუთარ თავზე იღებენ პასუხისმგებლობას საინიციატივო ჯგუფის წევრები? ზოგმა მათგანმა უკვე უარი განაცხადა ამ ყრილობის მომზადებაში მონაწილეობის მიღებაზეც და შემდგომ თანამშრომლობაზე.

მაგრამ ეს არ არის მთავარი.

ჩემი აზრით, მთავარი ის არის, რომ პარლამენტში კონსტიტუციის განხილვის პროცესში ჩამოყალიბდა თანამშრომლობისა და საერთო პოზიციის ძიების ატმოსფერო, რომელიც ზოგჯერ ემოციათა უაღრესად მძაფრი გამოვლინებით ხასიათდება, მაგრამ საბოლოოდ საღი აზრის ტრიუმფით მთავრდება.

პარლამენტმა თავისი სახე მიიღო და გულდასაწყვეტია, რომ სწორედ ამ მაღალ რეგისტრში გაუდის ვადა.

• • •

„თბილსრესი" აღარ ჩანდა. გარდაბნის ველზე მიჯაჭვული ამირანივით იწვა ცეცხლწართმეული პრომეთეოსი. ადამიანთა მცდელობით ჯაჭვი სადაცაა გაწყდება.

მაგრამ ვინ არის თავდები, რომ მისი გათავისუფლების იმ „იქს" დღეს „მჭედლები" არ დაჰკრავენ გრდემლს და არ გამთელდება ჯაჭვი.

„სამშობლოს მომავლის მშენებლები", ვაი, რომ ბევრი გვყოლია ჩვენს ბედუკუღმართ ისტორიაში.

არმაზ სანებლიძე.

სარედაქციო ფოსტიდან

წერილი რედაქციას

ბატონო რედაქტორო!

თქვენი მ/წლის 8 აგვისტოს № 96 ნომერში პირველ გვერდზე გამოქვეყნდა წერილი „ასეთი ნაბიჯი არსად არ გადაუდგამთ", რომელიც ჩვენი თხოვნით დაიბეჭდა, მადლობას მოგახსენებთ მეანაბრეთა ურთულესი ეკონომიკური საკითხის გადაწყვეტის საქმეში დახმარებისათვის. მაგრამ დაბეჭდვისას გაპარულია ერთი უხერხული შეცდომა და, თუ საშუალება იქნება, გთხოვთ, უახლოეს ნომერში გაასწოროთ ხელმოწერებში „...მეანაბრეები..." ბოლომდე უნდა იკითხებოდეს: „...მეანაბრე — შოთა ქველიაშვილი, კომპანიათა საქმიანობის კოორდინაციისა და ზედამხედველობის სამსახურის კოლეგიის წევრები: გურამ ფანჯიკიძე (მწერალი), ავთანდილ გუნია (აკადემიკოსი), ნაპოლეონ ქარქაშაძე (აკადემიკოსი), ზურაბ ყრუაშვილი (აკადემიკოსი), გიორგი ადეიშვილი (პროფესორი), ავთანდილ ლილუაშვილი (პროფესორი), შუქური ქოიავა (პროფესორი), ტრისტან ლაბარტყავა (პროფესორი), მამა ელიზბარი (დეკანოზი), ამირან გაბისონია, დომენტი მოურავიძე (ეკონომიკის სამინისტროდან), ნოდარ ზაგრატონი (ფინანსთა მინისტრის მოადგილე), ალექსანდრე ტალიაშვილი (იუსტიციის მინისტრის მოადგილე), ნანა ჯაფარიძე (ტელევიზიის რედაქტორი), ლია ლომიძე (ეკონომიკის სამინისტროდან), ბენო ჯაფარიძე (ზედამხედველობის სამსახურის უფროსის პირველი მოადგილე).

ღრმა პატივისცემით,
საქართველოს რესპუბლიკის საფინანსო, საინვესტიციო-სატრასტო და სადაზღვევო კომპანიათა (საზოგადოებათა) საქმიანობის კოორდინაციისა და ზედამხედველობის სამსახურის უფროსი კოლეგიის თავმჯდომარე

ვაჟა ბერიძე.

ქვეყნის ეკონომიკის წინსვლისათვის

რესპუბლიკური თათბირი

(დასასრული)

კომპრომეტირებული არ იყოს. მინისტრთა კაბინეტს ვთხოვ 10-15 დღის განმავლობაში ეს საკითხი საბოლოოდ დაამუშაოს, ვიმსჯელოთ და რეალურ მოქმედებას შევუდგეთ.

უნდა მოგახსენოთ, რომ ბევრი რამ გაკეთდა მინისტრთა კაბინეტში, სერიოზულ ღონისძიებებს ახორციელებს ეროვნული ბანკი, უკვე სხვა რეჟიმში მუშაობს ფინანსთა სამინისტრო. თქვენ, ალბათ, ფინანსთა მინისტრის ყოველი გამოსვლიდან გრძნობთ, რომ გაჩნდა გარკვეული სიახლეები, რომლებიც აუცილებელია რეფორმატორული კურსის განხორციელებისათვის. ვხედავ, რომ ეკონომიკის სამინისტრო და ზოგიერთი სხვა უწყება თავიანთ ადგილს იკავებენ ჩვენს სახელმწიფოებრივ სისტემაში. ყოველივე ეს გარკვეული კმაყოფილების გრძნობას ბადებს.

სამწუხაროდ, ჩვენი რესურსები და რეზერვები, ჩვენივე უყაირათობისა და ზანდაზან უთავბოლო მუშაობის გამო, არ არის გამოყენებული და ამოძრავებული, არ არის ჩადებული, ასე ვთქვათ, საქმეში. ასეთი რესურსები კი არც თუ ისე ცოტა აქვს საქართველოს. აღარ დავუბრუნდები ბორჯომის ფაქტს, ალბათ, ეს იქნება სპეციალური მსჯელობის საგანი თვით ბორჯომში. იქ შევიკრიბებით და დავრწმუნდებით, რა სიმდიდრე დაკარგა საქართველომ ამ ბოლო წლების განმავლობაში, როცა, პრაქტიკულად, შეწყდა მინერალური წყლის ჩამოსხმა. ახლა ამ საკითხზე მუშაობენ მინისტრთა კაბინეტის წარმომადგენლები, ბატონი ბაკურ გულუა იყო ადგილზე. როგორც მითხრეს, საკითხი გვარდება და ეს სიმდიდრე ჩადგება ქვეყნის სამსახურში. მრავალი ასეთი ფაქტის დასახელება შეიძლება.

დღეს, ჩემს მეგობარს, ბატონ ზურაბ კერვალიშვილს სიტყვა არ მივეცი იმის გამო, რომ ბევრი შეპირებები მოვისმინეთ მისგან, რომ ტყიბულის ქვანახშირის აუზი ამუშავდება, დასახელებული იყო ციფრები, რომ ზესტაფონის ქარხანა მნიშვნელოვანწილად გამოიყენებს ამ საწვავს. ბევრი შეპირება იყო იმის შესახებაც, რომ რუსთაველი მეტალურგები გამოიყენებენ ტყიბულის ქვანახშირს, ამუშავდება შახტები, დავასაქმებთ ხალხს. საბოლოოდ კი საქმე იქამდე მივიდა, რომ ჯერჯერობით 150-200 ტონა ქვანახშირის დონეზე ვართ. შეგახსენებთ, რომ 1985 წლისათვის 1,8 მილიონ ტონა ქვანახშირს ვიღებდით (მახსოვს ეს ციფრი), მაშინ, როცა საბჭოთა კავშირის ნებისმიერი კუთხიდან შეგვეძლო მიგვეღო ეს საწვავი.

იგივე შეიძლება ითქვას ზოგიერთ სხვა რესურსზე, რომლებიც გამოყენებული არ არის. ამასთან, ბევრი რამის გაკეთება შეიძლებოდა მას შემდეგ, რაც რუსეთთან, მის ეკონომიკასთან აღვადგინეთ ნორმალური ურთიერთობა. რუსეთის საქმიანი წრეები, ბიზნესმენები (ბატონი ოთარ ფაცაცია დამერწმუნება ამაში) დაინტერესებული არიან ჩვენთან თანამშრომლობით, კერძოდ, ენერგეტიკის სფეროში. ასევე დაინტერესებული არიან მეწარმეები სხვა სფეროებიდანაც, მანქანათმშენებლები, ელექტროტექნიკის დარგის წარმომადგენლები და სხვები. ასევე ბევრი რამის გაკეთება შეგვეძლო უკრაინასთან ურთიერთობის აღდგენის შემდეგ, მაგრამ ვერ მოვახერხეთ იმის გამო, რომ ჩვენი კოლეგები, რომლებსაც გარკვეული დარგები, მიმართულებები აბარიათ, ყოველთვის ვერ დგანან თავიანთი მოწოდების სიმაღლეზე. გვაკლია კონკრეტულობა, მიზანმიმართული მუშაობა, მომთხოვნელობა, არ გვინდა გავიუარესოთ ურთიერთობა ამა თუ იმ თანამშრომელთან ან მუშაკთან, რატომ უნდა მჭირდებოდეს შენიშვნა მივცე დღეს, ვთქვათ, ტრანსპორტის რომელიმე კომპლექსის ხელმძღვანელს, როცა ამ კომპლექსს ჰყავს თავისი კურატორი მინისტრთა კაბინეტში. სერიოზული შენიშვნები გამოვთქვი ბატონ ზ. ვარშანიძის, ბატონ რემი ვაშაკიძის მიმართ. ათჯერ უფრო მეტი სერიოზული შენიშვნა უნდა გამოითქვას ავტოტრანსპორტის კომპლექსის მიმართ. რატომ უნდა იყოს ეს აუცილებელი, რატომ უნდა იყოს სახელმწიფოს მეთაური იძულებული და ვალდებული, რომ ასეთ ფართო წარმომადგენლობითს თათბირებზე თქვას ყველაფერი. ყოველივე ეს სამუშაო პირობებში უნდა გვარდებოდეს და, როგორც არა ერთხელ მითქვამს, ავტომატურ რეჟიმში წყდებოდეს. ეს იმის ბრალია, რომ თავის დროზე არ ჩავიხედეთ საქმეში. ამას გრძნობს მოსახლეობა და სამართლიან უკმაყოფილებასაც გამოთქვამს.

ბევრმა ექსპერიმენტმა მრეწველობისა თუ სოფლის მეურნეობის სფეროში გაამართლა. აქ იყო ლაპარაკი სიმინდის წარმოების დარგში წამოყენებულ ინიციატივაზე. მრეწველობაშიც არის ჰოლდინგური გაერთიანება, რომელსაც ბატონი ნ. ცხაკაია და სხვები ხელმძღვანელობენ, იქაც ბევრი რამ საინტერესოა.

ამასთან, იგივეს ვერ ვიტყვი მეტალურგიული კონცერნის შესახებ, რომლის შექმნამ, პრაქტიკულად, არაფერი არ მოიტანა, გარდა იმისა, რომ ბატონი გურამ ქაშაკაშვილი ორ-ორი თვით ზის მოსკოვში და რაღაც საკითხებს აგვარებს. მეტალურგიული ქარხანა და მთლიანად ეს კომპლექსი, პრაქტიკულად, სახელმწიფოს კისერზეა, სახელმწიფოს ხარჩენია — ეს უნდა იცოდნენ მეტალურგებმა. აბა, იანგარიშეთ, რამდენი მილიარდი და ტრილიონი უნდა შემოეტანა ამ ქარხანას სახელმწიფო ბიუჯეტში და არ შემოიტანა. ერთხელ ვაპატიეთ, ორჯერ, სამჯერ და ა. შ. თავისთავად, სიახლე არაფერს ნიშნავს, საჭიროა, ისეთი სიახლე, ისეთი ექსპერიმენტი, რომელიც შედეგს მოგვცემს.

ვთხოვ ეკონომიკის, მრეწველობის სამინისტროებს და ზოგიერთ სხვა სამინისტროს (დარწმუნებული ვარ, ეს სამინისტროები დარჩებიან შესაბამისი რეორგანიზაციის, საპარლამენტო თუ საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ), რომ ცოტა სხვაგვარად მიხედონ იმ სფეროებს, რომლებიც უშუალოდ მათ დაქვემდებარებაში არ არიან. დარწმუნებული ვარ, რომ, თუ არ იქნება სერიოზული სახელმწიფო კონტროლი, სახელმწიფო არ მართავს ამ პროცესებს, ისე კონცერნების შექმნა სასურველ შედეგს არ მოგვიტანს. ეს ეხება, კერძოდ, მეტალურგიულ კონცერნს, რომელიც, პრაქტიკულად, გამოვიდა სახელმწიფოს მეთვალყურეობის სფეროდან. მინისტრთა კაბინეტი ვერ ახორციელებს კონტროლს, ვერ ეხმარება და ამის გამო არის სხვადასხვა ქვეყნების მილიონობით და მილიარდობით დავალიანება, განსაკუთრებით იმ ქვეყნებისა, რომლებიც გაზს და ზოგიერთ საწვავს, ენერგეტიკულ წყაროებს გვაწვდიან.

ასეთი შენიშვნაც უნდა გამოვთქვა: ჯერჯერობით ჩვენს წამყვან სტრუქტურებში, ეკონომიკაში, არ მომხდარა ძირეული ძვრები, არ სრულდება საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნები მისი განვითარების ინტერესებისათვის. მე ვიტყოდი, დაკონსერვებულია „საქენერგო". დიდი ძალისხმევის შედეგად მოხერხდა ის, რომ ადგილობრივი ქსელი ნაწილობრივ გადაეცა მერიებისა და რაიონების ხელმძღვანელობას. მაგრამ ამას არ მოჰყოლია შემდგომი აუცილებელი მუშაობა, რათა ეს საქმე ბოლომდე იყოს მიყვანილი. ჩვენი მიზანი ის არის, რომ მომხმარებელს მივაწოდოთ ელექტროენერგია და ავანაზღაუროთ ის დანახარჯი, რაც სახელმწიფომ გაიღო, ესე იგი, საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნების შესაბამისად, მოგვარდეს ყიდვა-გაყიდვის პროცესი. პრაქტიკულად არაფერი არ გაკეთებულა. შემაშფოთებელია ის ციფრები, რომლებიც პრემიერ-მინისტრმა აქ დაასახელა. შეიძლება ნორმალურად იარსებოს ქვეყანამ, რომელიც ახლა 18-20 მილიარდ კილოვატსაათ ენერგიას ჰყიდის და არაფერს არ იღებს? თუ თქვენ კონცერნი, გაერთიანება ხართ, გნებავთ, სხვა სახელი დაირქვით, ფეხი უნდა აუწყოთ იმას, რასაც საბაზრო ეკონომიკა ჰქვია და უნდა იმუშაოთ მის რეჟიმში. სამ-ოთხი თვის განმავლობაში არა ერთხელ დამჭირდა იმის შეხსენება, რომ თბილისის ქსელი გადასულიყო სამეურნეო ანგარიშზე, დამოუკიდებელ ორგანიზაციად გადაქცეულიყო, მე არაფერს ვამბობ სხვა ორგანიზაციებზე. დიდი ძალისხმევა გახდა საჭირო იმისათვის, რომ თბილისმა თავის ბალანსზე გადაიტანოს ის ქსელი, რომელიც მას ემსახურება. მსგავსი მრავალი მაგალითის დასახელება შემიძლია.

არავითარი ძვრები, არავითარი ცვლილებები არ არის კონცერნ „საქგაზის" საქმიანობაში. ერთადერთი, რასაც ახერხებენ, ეს ის არის, რომ დაახლოებით აღრიცხავენ დანახარჯებს. ვფიქრობ, ასე მუშაობა შეუძლებელია, წარმოუდგენელია.

ჩვენ გვაქვს იმის გარკვეული რეზერვები და რესურსები, რომ დავაჩქაროთ საკუთარი ნავთობის, საკუთარი გაზის მოპოვება. ისიც უნდა ვთქვა, რომ „საქნავთობიც" ასევე, დაკონსერვებულ რეჟიმში მუშაობს. ამას შემთხვევით არ ვამბობ. ყოველივე ეს, ბატონო ზურაბ, თქვენ გეხებათ! თქვენთან უნდა იბადებოდეს გარდაქმნის, ახალი მოდელის შექმნის აზრები, იდეები. სამწუხაროდ, თქვენგან არაფერი არ მოდის. მე არ ვამბობ, რომ მარტო ზურაბ კერვალიშვილია დამნაშავე. ეს ყველა ჩვენგანს ეხება, მაგრამ, როცა ვხედავ, რომ აბსოლუტური უძრაობაა, ეს იმას ნიშნავს, რომ შესაბამისი დასკვნებიც ჩვენც და თქვენც უნდა გამოვიტანოთ.

ძალიან მენიშნა და ჭკუაში დამჯდა ის წინადადება, რომელიც ბატონმა თემურ შაშიაშვილმა წამოაყენა: გაჩნდეს რაღაც სტრუქტურა, გინდ კერძო, გინდ ნახევრად კერძო, ნახევრად სახელმწიფოებრივი, რომელიც ან ავანსად აიღებს, ან კრედიტს აიღებს ბანკებიდან, ანგარიშს გაუსწორებს „საქენერგოს" და რაღაც ნაწილს მაინც დაფარავს. თუ ახალი გზები არ ვეძებეთ, ჩვენ ისევ და ისევ კონსერვის ქილებში ვიქნებით... ეს მარტო ერთ და ორ რაიონს, ერთ და ორ სტრუქტურას როდი ეხება.

ბატონმა გივი ლომინაძემ სავსებით მართებულად მოგვახსენა, რომ აბაშის რაიონში შეიძლება იყოს ძალზე კარგი მოსავალი. კლასიკური ფერმერული გაერთიანების შექმნის კარგი წამოწყებაა! მადლობელი ვარ იმ ადამიანებისა, რომლებმაც ამას თავი მოაბეს. მაგრამ უნდა ვიფიქროთ, როგორ გამოვიტანოთ მოსავალს, როგორ ავუნაზღაუროთ შრომას იმ ხალხს, ვინც ამ საქმეშია ჩაბმული. თუ აქ გავკოტრდით, მაშინ კაპიკის ფასი, მეორედ იმ რაიონში ჩვენ ვეღარ შევალთ. ამაზე, სამწუხაროდ, ძალიან ცოტას ვფიქრობთ. ალბათ, პურპროდუქტების კორპორაციას უნდა ჰქონდეს გარკვეული მოსაზრებები, როგორ გამოიტანოს მოსახლეობისათვის ვარგისი სიმინდის ფქვილი, ასევე კომბინირებული საკვების წარმოებისათვის საჭირო ფქვილი, როგორ მოიხმაროს ჩალა, სხვა ნარჩენები. თუ ამას არ გავაკეთებთ, არ მოვიფიქრებთ, ბატონო ანზორ, მაშინ ჩვენი მიღებული ბრძანებულება კონცერნიდან ახალ სისტემაზე თქვენი გადასვლის შესახებ, რომ ნახევრად სახელმწიფოებრივი, ნახევრად სააქციო საზოგადოება იყოთ, — ტყუილად დროის ხარჯვა გამოვა.

შარშან, თელავში თათბირზე, ჩვენს მოსახლეობას შევპირდით, რომ ოღონდ ყურძენი ეწარმოებინათ, დანარჩენს ჩვენ მოვიფიქრებდით და მოვაგვარებდით. შარშანდელი მოსავალი დაილუპა. ვხედავ, რომ წლევანდელი წლის მოსავალსაც იგივე ბედი ელოდება, რადგან ჯერაც არ ჩანს მომხმარებელი. მოსაფიქრებელია, როგორ უნდა გავისტუმროთ, როგორ უნდა გადავიხადოთ, ან ბანკირები როგორ დავაინტერესოთ, როგორ ჩავაბათ ამ საქმეში. გარწმუნებთ, რომ მოსახლეობა არ დაკარგავს მოსავალს, შემოვლენ აზერბაიჯანიდან, გადაუხდიან ორჯერ მეტს და ის ხალხი მოიგებს. ვიცი, რომ მთელი გაერთიანებები დარბიან, მოსახლეობასთან აქვთ კონტაქტი, რათა შეისყიდონ ყურძენი, რომელიც ჩვენ ვაწარმოეთ. ამას იმიტომ მოგახსენებთ, რომ, თუ ვერ ავუწყობთ ფეხს საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნებს, მაშინ ლაპარაკი ზედმეტია, მთელი ეკონომიკის გლობალურ გამოცოცხლებაზე და გამოცოცხლების სიმპტომებიც, პირველი ყლორტებიც, ალბათ, განადგურდება, დაიკარგება.

ვთხოვ ჩემს მეგობრებს, ბატონებს, ზ. ვარშანიძეს, რ. ვაშაკიძეს, ავტოტრანსპორტის ხელმძღვანელებს და სხვებს, სწორად გაიგონ აქ გამოთქმული ჩემი კრიტიკული შენიშვნები. ტრანსპორტი საქართველოსთვის პრიორიტეტია ქვეყანა სატრანზიტო სახელმწიფო ხდება — ეს რეალურად დგას დღის წესრიგში. ეს არის შემოსავალი და ამ შემოსავლის დაკარგვა დანაშაულია. ჩვენი სიმდიდრე ჩვენი გეოგრაფიული მდებარეობაა. ამიტომ, ძალიან გთხოვთ, მოიწვიოთ უცხოელი სპეციალისტები, მოაგვაროთ საქმე ისეთნაირად, რომ უახლოეს ორ-სამ თვეში სატრანსპორტო კომპლექსის მუშაობა გავმართოთ. ზღვა, რკინიგზა, ავტოტრანსპორტი, საჰაერო ტრანსპორტი ერთმანეთთან უნდა იყოს დაკავშირებული. ამიტომაც, შემოვიღეთ კოორდინატორის ინსტიტუტი, რომელიც მოგზაურობით კი კარგად მოგზაურობს, მაგრამ მისი მუშაობისგან ჯერჯერობით, შედეგს ვერ ვხედავთ. ისევ და ისევ მინისტრთა კაბინეტი უნდა გვთავაზობდეს კომპლექსურ ღონისძიებათა სქემას, რომელმაც ქვეყანა ამ მდგომარეობიდან უნდა გამოიყვანოს. ისეთი პერსპექტივებია, რომ ტრანსპორტმა შეიძლება შეინახოს საქართველო. მარტო ლაპარაკი იმაზე, გაივლის თუ არ გაივლის ნავთობსადენი ან გაზსადენი — არაფრის მომცემია. ზოგიერთ არასწორ განცხადებასთან დაკავშირებით, რომელიც გაისმის, მინდა გითხრათ, რომ ყოველდღიურად ვმუშაობთ სახელმწიფოთა მეთაურების დონეზე, კონცერნებთან, გაერთიანებებთან, ყველასთან, ვისაც ეს ეხება. მაგრამ მარტო ნავთობში როდია საქმე. შეიძლება ნავთობსადენი არ გავიდეს საქართველოზე, მაგრამ ყველა შემთხვევაში საქართველო მაინც იქნება უზარმაზარი სატრანსპორტო მაგისტრალი, რომელმაც უნდა გაატაროს დიდძალი ტვირთები.. ამიტომაც, დღეს მწარე რეაგირება მოვახდინე ზოგიერთ გამოსვლაზე და გთხოვთ, აქედან გამოიტანოთ სათანადო დასკვნები ყოველგვარი განაწყენების გარეშე.

ბიუჯეტთან დაკავშირებით ასეთი შენიშვნა მინდა გამოვთქვა: მივესალმები იმას, რომ ჩვენმა რწმუნებულებმა, ასე თუ ისე, აითვისეს ეს სფერო. წინათ, არც ადგილობრივ, არც რესპუბლიკურ შეკრებებზე არ იყო საუბარი ბიუჯეტის შესახებ. ახლა უკვე იგრძნობა, რომ რწმუნებულებიც, გამგეობებიც საქმის კურსში არიან, მუშაობენ, ზრუნავენ იმისათვის, რომ ქვეყანას, რაიონს, ქალაქს თავისი ბიუჯეტი ჰქონდეს. ნათქვამს აღარ გავიმეორებ, თუ რა მიიღო დედაქალაქმა იმ უფლებების შედეგად, რომლებიც მას მიეცა, რა მიიღეს ქუთაისმა, გორმა, ფოთმა და სხვებმა. ამას თქვენ თვითონ გრძნობთ. მაგრამ ახლა სხვა დრო დგება. ბატონმა ნოდარ ჭითანავამ ერთი შენიშვნა გამოთქვა. არ ეთანხმება, რომ ბიუჯეტი უდეფიციტოა, რა თქმა უნდა, არ არის სწორი, რომ ჩვენ უდეფიციტო ბიუჯეტი გვაქვს, უფრო სწორად, ბიუჯეტი დაბალანსებულია და არა უდეფიციტო. ჩვენმა ხალხმა, უნდა იცოდეს, რომ ჩვენი ბიუჯეტის 80 პროცენტი არის ჩვენი მეგობრების დახმარება — ეს არის ხორბალი, ის პროდუქტები, რომლებსაც ჩვენ ვღებულობთ და რომელთა რეალიზაციის უფლება მოგვცეს და პირდაპირ გვითხრეს, თქვენ ამის რეალიზაციას მოახდენთ და ეს იქნება თქვენი ბიუჯეტის შემადგენელი ნაწილიო.

შემდეგ თათბირებსა და შეხვედრებზე გავარკვიოთ, რამდენია შემოსავალი ადგილობრივ, სამხარეო თუ რესპუბლიკურ ბიუჯეტში იმ წარმოების ხარჯზე, რომელიც რეალურად ფუნქციონირებს რაიონებსა და ქალაქებში. ესე იგი, საკუთარი შემოსავლები და ის შემოსავლები, რომლებიც უცხოელ მეგობართა მიერ მოწოდებული პროდუქტის და პროდუქციის რეალიზაციიდან ან კრედიტების ხარჯზეა მიღებული. ამას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ.

ჩვენი რწმუნებულების საყურადღებოდ: სამხარეო ბიუჯეტის მიმართ მე ცოტა განსხვავებული მიდგომა მაქვს. ხომ არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ მხარეს ჰქონდეს თავისი ბიუჯეტი, მაგრამ იგი შედგებოდეს რაიონებისა და ქალაქების საბიუჯეტო შემოსავლის ნაწილისაგან და სამხარეო ადმინისტრაცია დიდად იყოს დაინტერესებული რაიონების, ქალაქების ბიუჯეტების, საშემოსავლო ნაწილის ზრდით, ესე იგი, წარმოების გაფართოებით, ეკონომიკის გაძლიერებით, — მაშინ, რაღაც გარკვეული პროცენტის ხარჯზე იქნება სამხარეო ბიუჯეტი, შეიძლება ეს გზა ავირჩიოთ. ამ შემთხვევაში, მთლიანად ის სისტემა და სტრუქტურა, სამხარეო მოწყობა და სხვა, უნდა განვიხილოთ როგორც ადგილობრივი ბიუჯეტების შემადგენელი ნაწილი, თუმცა, დამორჩილება უშუალოდ დაკავშირებული იქნება ცენტრთან. ამას იმიტომ ვამბობ, რომ ვიფიქროთ და მოვძებნოთ ყველაზე კარგი გადაწყვეტილება.

ძალიან მნიშვნელოვანია საკითხი, რომელიც ბატონმა თემურ ფიფიამ წამოაყენა — ფუნქციების ზუსტი გამიჯვნა. ავტონომია ჯერჯერობით ავტონომიაა და ბატონ ასლან აბაშიძესთან სრული გაგება მაქვს ამ საკითხში — უნდა გამიჯნოს, რა არის ცენტრის ფუნქცია და რა არის ავტონომიური რესპუბლიკის გადასაწყვეტი. ეს უნდა იყოს ყველაზე ოპტიმალური და მისაღები მაგალითი, რომელიც შემდგომ გამოგვადგება ზოგიერთი სხვა რეგიონის მიმართ. ამავე დროს, ძალიან მკვეთრად უნდა გავიმიჯნოს მხარეების, ადმინისტრაციების, რაიონებისა და ქალაქების ადმინისტრაციათა ფუნქციები, ისევე, როგორც ადგილობრივი თვითმმართველობისა, მხედველობაში მაქვს თემები, დაბები, და ა. შ. ეს დიდი სამუშაოა. ამასთან დაკავშირებით, შეიძლება დაგვჭირდეს სპეციალური შეკრება და ხანამ პარლამენტი განიხილავს და მიიღებს შესაბამის კანონებს, მივიღოთ ისეთი ნორმატიული აქტი, რომელიც გამოსადეგი იქნება ყველა რაიონის, ყველა ქალაქის, ყველა მხარისათვის და რომელიც, რაც მთავარია, სტიმულს მისცემს წარმოებას და ბიუჯეტში საშემოსავლო ნაწილის გადიდების საქმეს. გამიჯვნის შემდეგ საგადასახადო და სხვა სისტემა ისე უნდა მუშაობდეს, რომ გადასახადი ტვირთივით არ ჰქონდეს ჩამოკიდებული კისერზე ყველა გამგებელს, ყოველ კომლს. ჩვენ ყოველ კომლთან ჩაფარს ან პოლიციელს ვერ დავაყენებთ, ეს შეუძლებელია. ამიტომ, საჭიროა ისეთი მექანიზმის შემუშავება, რომელიც ყველასათვის მისაღები იქნება.

გუშინ საუბარი გაიმართა ბიზნესმენებთან მუშაობის გააქტიურების თაობაზე. არც ერთი ბიზნესმენი, არც ერთი დამოუკიდებელი მეწარმე ჩვენს დღევანდელ თათბირს არ ესწრება. ეს კატეგორიულად არ არის სწორი. ის ხალხი, რომელიც მატერიალური წარმოების სფეროში, ვაჭრობაში მუშაობს და, საერთოდ, ბიზნესშია ჩართული, ვისაც სახელმწიფოს მხარდაჭერა და სახელმწიფოს წესრიგი სჭირდება, ჩვენთან უნდა იყოს, უნდა მონაწილეობდეს სახელმწიფოს პოლიტიკის შემუშავებაში, ცალკეული გადაწყვეტილების მიღებაში და მათ ფაქტის წინაშე არ უნდა ვაყენებდეთ, თუ ისინი ჩვენი პარტნიორები არიან, მოვექცეთ როგორც პარტნიორებს, დაგეგმილი მაქვს, ამ მოკლე დროში აუცილებლად შევხვდე ბიზნესმენებს, მეწარმეებს, ბანკირებს და მინდა, რომ ეს საუბარი აბსოლუტურად გულახდილი იყოს. ამ საუბარში მონაწილეობას მიიღებენ ცალკეული გამგებლები, ქალაქების ხელმძღვანელები, და სხვები.

ყველაზე მეტად, რაც ამჟამად აწუხებს ჩვენს მოსახლეობას არჩევნებთან დაკავშირებით, ეს არის ისევ და ისევ შიში, ძალაუფლება იარაღიანმა ადამიანმა არ იგდოს ხელში. მართალი იყო ბატონი თ. ხახილია, რომელმაც შენიშნა, რომ ქართველი ბიზნესმენები, ვისაც კაპიტალი გაუჩნდა, მზად არიან ფული დააბანდონ აქვე, არ გარბიან რუსეთში, საზღვარგარეთ. ეს ძალიან დიდი მონაპოვარია. ვინც ამას ხელს შეუშლის (და ხელს შეუშლის მხოლოდ იარაღიანი კაცი), ის საქართველოს, თავისი ხალხის მტერია. რაც შეეხება სამთავრობო სტრუქტურებში წესრიგის დამყარებას, კორუფციის აღმოფხვრას და სხვა. ეს დამოკიდებული იქნება ხელისუფლებაზე. ჩვენ უნდა გვყავდეს ისეთი ხელისუფლება, რომელიც ამას შეებრძოლება და იდეალურ, ყოველ შემთხვევაში, ოპტიმალურ პირობებს შეუქმნის ბიზნესმენებს მაღალეფექტიანი საქმიანობისათვის.

მინდა პირობა მივცე საქართველოს მოსახლეობას, რომ არ დავუშვებთ შეიარაღებული რაზმების პოლიტიკურ ძალად გადაქცევას, ეს დაღუპავს ქვეყანას! დავიწყეთ გამოცოცხლება, დავადექით განვითარების ნორმალურ გზას და ჩვენ ამ გზიდან არ გადავუხვევთ.

აქ კიდევ ერთი რამ არის გასათვალისწინებელი. ზოგიერთი ცდილობს, თავისი შავი და ბოროტი განზრახვა და ის გარემოება, რომ მას იარაღიანი კაცის, ესე იგი უკანონო შეიარაღებული ფორმირების რეპუტაცია აქვს, იმით დაფაროს, რომ გვერდით, როგორც საფარი, დაიყენოს ინტელიგენციის წარმომადგენელი. არ გამოვა ეს. მივმართავ ჩემს მეგობრებს: ვიცი, რომ თქვენ საქართველოს პატრიოტები ხართ და თქვენ ისეთ საქმეში ჩაგითრევენ, რომელსაც წუმპე ჰქვია და შემდეგ იმ წუმპედან ვეღარ ამოხვალთ. თუ ინტელიგენციას ვინმემ უნდა უშველოს, უნდა უშველოს ძლიერმა სახელმწიფომ, ძლიერმა ეკონომიკამ, ძლიერმა ფინანსებმა და არა ცალკეულმა შეიარაღებულმა ფორმირებებმა. ეს გამორიცხულია.

ასევე მინდა ვთქვა ზოგიერთი გამგებლის საყურადღებოდ: თავი დაანებეთ თამაშს ასეთ რაზმებთან. გუშინ ვთქვი და დღესაც ვიმეორებ — ჩადექით სახელმწიფოს სამსახურში. თქვენთვის ორიენტირი უნდა იყოს სახელმწიფო, მხოლოდ და მხოლოდ სახელმწიფო. ხშირად თქვენც ფარად გიყენებენ და, დამიჯერეთ, როცა გამოგიყენებენ, როგორც ნახმარ ხელთათმანს, ისე გადაგაგდებენ, ეს ასე იქნება. თუ ოდესმე ყოფილა სიფრთხილე საჭირო, დღეს, არჩევნების წინ, მართებს საქართველოს მოსახლეობას სიფრთხილე და სიფხიზლე, რომ არ განმეორდეს ის, რისი მოწმეც ჩვენ რამდენჯერმე ვიყავით ამ 6-8 წლის განმავლობაში.

გთხოვთ, ბატონ ო. ფაცაციას და კოლეგებს მინისტრთა კაბინეტიდან, ჯართის გატანაზე ლაპარაკი აღარ იყოს. ერთი გრამი საქართველოდან არ უნდა გავიდეს. დაწესდეს ცეცხლის ფასი, რომლის გადახდაც ძალზე ძნელი იქნება. გამგებლებმა, რწმუნებულებმა და სხვებმა მიიღეთ ზომები, რომ საქართველო აღარ იძარცვებოდეს. იმდენი სპილენძია საქართველოდან გატანილი, რომ, ალბათ, წონა არა აქვს, არადა, ეს ოქროა ჩვენთვის, 18-20 კმ. მარტო მაღალი ძაბვის სადენებია ჩამოხსნილი ენგურამდე კავკასიონის ხაზზე. მსოფლიოში არავინ დაიჯერებს, რომ დედამიწის ზურგზე არის ქვეყანა, სადაც მაღალი ძაბვის სადენებს, რომლებმაც უნდა კვებონ ქვეყანა, ვანგრევთ და ვსპობთ ჩვენი ხელით. თუ კანონები გვაკლია, გთხოვთ, სასწრაფოდ დაჩქარეთ, შეიმუშავეთ ის კანონები, რომლებიც საჭიროა ამ უკანონობის აღსაკვეთად.

ასეთივე და კიდევ უფრო დიდი უბედურება გვჭირს ხე-ტყესთან დაკავშირებით. მაქვს მონაცემები, რომლის მიხედვით მთელ რიგ რაიონებში პირდაპირ მიმდინარეობს გაჩანაგება ეროვნული სიმდიდრისა, არა მარტო დღევანდელი თაობის ინტერესების თვალსაზრისით. ის ტყეები, რომელიც საქართველოს ტერიტორიის თითქმის ნახევარია, ჩვენი წინა თაობების მონაპოვარია, მათ შემოგვინახეს საუკუნეების განმავლობაში. ჩვენმა წინაპრებმა ეს უზარმაზარი სიმდიდრე ჩვენამდე მოიტანეს. ჩვენ კი დავერიეთ, დავჭრეთ და გაგვაქვს, ვეზიდებით. კატეგორიულად ვაყენებ საკითხს: იმ რაიონის გამგებელი, რომელიც დაუშვებს უკანონო ჭრას, თავის ადგილზე არ უნდა იყოს, მას, ალბათ, საქმე უნდა ჰქონდეს პროკურატურასთან.

ორი ფაქტი. გარდაბნის რაიონში სამხარეო ადმინისტრაციამ და მისმა სტრუქტურებმა დააკავეს ლენტეხიდან წამოსული მანქანები, რომელთაც დოკუმენტების გარეშე გაჰქონდათ 70 კუბური მეტრი დახერხილი საშენი მასალა, დააკავეს მანქანების მეორე ჯგუფი 80 კუბური მეტრი ხე-ტყით, ორივე ჯგუფს აცილებდნენ გარდაბნის რაიონის თანამშრომლები.

ბატონ ლევან მამალაძის საყურადღებოდ: თუ ასეთი თანამშრომლები გყავთ და თქვენ ამას ეგუებით, მაშინ თქვენ თქვენს ადგილზე არ ხართ. მე მიმაჩნია, რომ პოლიციის ისეთი განყოფილება, რომელიც ასეთ ფაქტებს დაუშვებს, უნდა დაიშალოს, აღარ ვლაპარაკობ განყოფილების უფროსზე და სხვებზე, სხვათა შორის, ხუთ ფურცელზე მაქვს მონაცემები ამგვარ დარღვევებზე და არც ერთი არ არის გამგებლის და პოლიციის დახმარების გარეშე ჩადენილი. ფრთხილად იყავით, მეგობრებო, ქვეყნის სიმდიდრეს გაუფრთხილდით.

დაიწყო ძალზე სერიოზული გარდაქმნები ჯანმრთელობის სფეროში. ლაპარაკი იმაზე, რომ ეს ძალზე მგრძნობიარე სფეროა, და არც ერთი ოჯახი გულგრილი არ არის ამ პრობლემისადმი, ალბათ, ზედმეტია. ჩვენ შევეცადეთ ის პატარა შესაძლებლობებიც კი, რაც გაგვაჩნდა, გამოგვეყენებინა იმისათვის, რომ, რაც შეიძლება უმტკივნეულოდ გადავიდეთ სამედიცინო მომსახურების ახალ სისტემაზე. სამედიცინო საზოგადოების საყურადღებოდ მინდა ვთქვა: ძალიან გვიჭირს, როგორც იტყვიან, კაპიკებს ვითვლით, მაგრამ მინისტრთა კაბინეტმა, ჯანმრთელობის დაცვის, ფინანსთა სამინისტროებმა და სხვებმა, ყველაფერი გააკეთეს იმისათვის, რომ მიმდინარე წლის განმავლობაში, სამეურნეო ანგარიშზე გადასვლის პარალელურად, ხელფასებით იყოს უზრუნველყოფილი და გარანტირებული ყველა სამედიცინო დაწესებულება, რომელიც სახელმწიფო ბიუჯეტზეა. მომავალში მე ასე წარმომიდგენია: როგორც კი ფეხზე დავაყენებთ ადგილობრივ ბიუჯეტს, მთელი სამედიცინო სისტემა, გარდა სამეცნიერო-კვლევითი ცენტრებისა, უნდა გადავიდეს ადგილობრივ ბიუჯეტზე. დედაქალაქში ეს, პრაქტიკულად, განხორციელდა, ქუთაისშიც ხორციელდება. სხვა გამოსავალი არ არის — ჩვენ უნდა შევქმნათ პირობები იმისათვის, რომ ადგილობრივ ბიუჯეტს გაუჩნდეს სერიოზული წყაროები, რათა მან შეინახოს მედიცინა, გარკვეულწილად, განათლების სისტემა და სხვა.

ძალზე დიდი მადლობა მინდა მოვახსენო საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესიას, მის უწმინდესობას ილია მეორეს. გუშინ „დიდგორობაზე" მოიყვანეს უპატრონო ბავშვები, ქუჩა-ქუჩა რომ დარბოდნენ, ახლა ისინი, სავსებით ნორმალურად გამოიყურებიან, ჯანსაღი, ჯანმრთელი ბავშვები არიან — მათ ეკლესია უვლის. ჩვენ ყველა რაიონში, ქალაქში გვაქვს იმის საშუალება, რომ ბავშვები ქუჩას არ მივანდოთ, არ გავამათხოვროთ, ყველას გააჩნია ამის საშუალება, სახიკეთო მაგალითები ძალზე ბევრია. რა თქმა უნდა, სახელმწიფო პირველ რიგში იზრუნებს იმისათვის, რომ ჩვენი მომავალი თაობა დაცული იყოს.

ცნობისათვის კიდევ ერთი განცხადება, გუშინ სერიოზული საუბარი შედგა ტერორიზმის აღკვეთასთან დაკავშირებით. ტერორიზმის აღკვეთა შეიძლება იმ შემთხვევაში, თუ შესაბამისი სტრუქტურები თავის სიმაღლეზე იდგებიან. მე დღეს მივიღე გადაწყვეტილება, შეიქმნას სახელმწიფო საგანგებო კომისია, რომელსაც სათავეში ჩაუდგება გენერალური პროკურორი, მისი მოადგილე იქნება ჩემი მრჩეველი ბატონი ნუგზარ საჯაია. კომისიის მუშაობაში ჩავრთავთ უმაღლესი რანგის სპეციალისტებს, შევისწავლით ყველა ორგანოს მუშაობას და იქნება გამოტანილი შესაბამისი დასკვნები. თუ შესაბამისი სტრუქტურები არ აკეთებენ იმას, რაც საჭიროა, აუცილებელია ტერორიზმის აღსაკვეთად, მაშინ, ასეთი სტრუქტურები უნდა დაიშალოს, საჭირო არ არის. ეს იქნება ძალიან დიდი, შრომატევადი საქმე. მე ვფიქრობ, რომ ამას, ალბათ, თვე, თვე-ნახევარი დასჭირდება და ჩვენი საზოგადოება გაიგებს, ვინ რას აკეთებს.

ელექტრონული ბიბლიოთეკა

ქართველი მწერლის ფრანგული ჩანაწერებიდან

პარიზული ეტიუდები

ვლადიმერ ალფენიძე

6. პარიზში ვეძებ ქართულ რესტორან „ოქროს საწმისს", მის ნაცვლად ვპოულობ „პლაცო დელ იტალიას", სადაც მოულოდნელად აღმოვაჩინე საქართველო-იტალიის უძველესი პრეისტორიული საიდუმლო.

პარიზში არსებობს ლეგენდა, რომ ილია ერენბურგმა და ლუი არაგონმა თითქოს ქართულ ემიგრაციულ რესტორანში „ოქროს საწმისი" ომამდე ერთმანეთს შეახვედრეს გალაკტიონ ტაბიძე და მერი შერვაშიძე.

თუ ეს სინამდვილეა, ის ჰგავს დანტეს და ბეატრიჩეს, პეტრარკას და ლაურას შეხვედრას.

სანამდის რესტორან „ოქროს საწმისს" მივაღწევდი, პარიზის მეტრომ „პლაცო დელ იტალიამდე" მიმიყვანა.

მოედანზე წიგნის მაღაზიაში შევედი. ახალ წიგნებს შორის დიუმეზილის ახალგამოცემული ტომი ვნახე „ეპოსი და მითი". ფრანგმა დიუმეზილმა ბევრ ქართველზე უკეთ იცოდა ქართველური ენები, თანაც მეცნიერულ დონეზე. იკვლევდა მათ და მეტად საინტერესო შრომები გამოაქვეყნა.

დიუმეზილის წიგნმა, რომელიც მსოფლიო მითოლოგიას და ეპოსს ეძღვნება და რომელსაც გარეკანზე გილგამეში ახატია, ათასი ფიქრი აღმიძრა... უცებ შუმერს მივწვდი და პრეისტორიულ ევროპაში ვიგრძენი თავი...

დიუმეზილის წიგნმა ჩემი მარშრუტი შეცვალა და იმ დღეს სორბონის უნივერსიტეტის წიგნთსაცავს ვეწვიე.

გადავათვალიერე დიუმეზილის სხვა შრომები.

ამ მუშაობის დროს მსოფლიო მითოლოგიის ერთ-ერთ ენციკლოპედიაში წავაწყდი თუკიდიდეს, არისტოტელესა, პლუტარქესა და სხვა ძველ ავტორთა ასეთ ცნობას:

იტალუსი — იტალიელი ხალხის მითიური მამამთავარია (სწორედ ისე, როგორც ქართლოსია ქართველთა მამამთავარი). იტალუსი პელაზგია წარმოშობით და სიკელთა მეფეა.

მითის მიხედვით იტალუსი ტელეგონის ვაჟია.

იტალუსი ლატინუსის სიძეა — მისი ქალიშვილი ელექტრა შეირთო ცოლად (არსებობს სხვა ვერსიაც, მაგრამ ჩვენ ამ ვერსიას ვუჭერთ მხარს).

ასეთი იყო ამოსავალი ინფორმაცია, სააზროვნო მასალა.

ამ ნეიტრალური მასალით არ შეიძლება დაკმაყოფილდეს ქართველი. საჭირო იყო ამ ნეიტრალური „მსოფლიო მითოსური ინფორმაციის" ქართულად გაშიფვრა. მე სწორედ ეს გავაკეთე პარიზში.

ვინ არის იტალუსი და რა კავშირი აქვს მას პრეისტორიულ საქართველოსთან?

იტალუსი ტელეგონეს ვაჟია. ვინ არის ტელეგონე? კოლხეთის მეფის აიეტის დის, კოლხეთის პრინცესას კირკეს ვაჟიშვილია, რომელიც კირკეს კუნძულზე (აიაზე) დაიბადა. აია ძველი კოლხეთის სახელწოდებაა.

მაშასადამე, ქართველი (კოლხი) **ტელეგონე** არის მამა იტალიელთა **მამამთავრისა — იტალუსისა.** თანაც ის პელაზგია. პელაზგები კი პროტოლაზები არიან.

იტალუსი კოლხი **პრინცესას კირკეს შვილიშვილია.** ეს იმას ნიშნავს, რომ ქართველი (კოლხი) პრეისტორიული ქალი კირკე არის იტალიელთა დიდი დედა (დიდედა), ხოლო მისი შვილი, კოლხი ტელეგონე — იტალიელთა მამამთავრის იტალუსის მამა. აი ეს ამოვიკითხე მე არისტოტელეს, თუკიდიდეს, პლუტარქეს და სხვა უძველეს ავტორთა ნაშრომებში, როცა ისინი ქართულად გავშიფრე, როცა ჩავწვდი იმ სიღრმეს, ბევრს რომ არ აინტერესებს ანტიინტელექტუალური ინდეფერენტიზმის გამო, უფრო ინტელექტუალური არასრულფასოვნების გამო.

ეს ფაქტი ამჟღავნებს უძველესი მსოფლიოს კიდევ ერთ დიდ საიდუმლოს: ქართველური (კოლხი) ტომების მსოფლიო-ისტორიულ როლს და მათ თავპირველ ნათესაობას იტალიელ ხალხთან. ეს ერთი.

მეორე. იტალუსი ირთავს ლათინუსის ასულს ელექტრას. მე იტალუსზე უფრო ადრე გავარკვიე ქართულ-ლათინური საიდუმლო. კერძოდ ის, რომ კირკეს შვილი ლათინი — ლათინი ხალხის ეპონიმია, მამამთავარია. მაშ ასე: **ლათინთა, იტალიელთა და ქართველთა (კოლხთა) მითოლოგიური ნათესაობა აშკარაა.**

ამ ნათესაობაში წამყვანი როლი ქართველურ (კოლხურ) ტომებს ეკუთვნით. ეს საოცრებაა, მაგრამ ფაქტია.

მთავარი ის არის, რომ ამას წერენ არა ქართველები, არამედ ბერძნები, რომაელები, ევროპელები.

ჩვენ კი ვდუმვართ, სფინქსის დუმილით.

ჩვენ ჯერ კიდევ კარგად არ ვიცით ჩვენი ისტორია, განსაკუთრებით გასაოცარი პრეისტორია.

ბევრი რამ არის გასარკვევი საქართველოს უძველეს ისტორიაში მსოფლიო მითოსთან კონტექსტში.

ყველა წიგნში იმაზე მეტი უნდა წაიკითხო, რაც იქ წერია და უსათუოდ აღმოაჩინე ახალი.

7. ქართული ფიქრები სენ-ჟერმენში ბოდლერსა და სარტრზე.

პარიზის კაფე „ტაბუში" ჟან-პოლ სარტრი ხშირად ფიქრობდა ბოდლერზე.

სარტრმა „აღმოაჩინა" „ეგზისტენციალისტური ბოდლერი", უფრო სწორად, ბოდლერი დაინახა ეგზისტენციალისტი ფილოსოფოსის თვალით.

— არსებობს „სხვა" ბოდლერიც, — ვთქვი მე.

— მაინც?

— თუნდაც „ბოდლერის პოეზიის მითოლოგემების ქართული სამყარო", „ბოდლერის მითოლოგემების ქერთული ქვეტექსტი და კონტექსტი".

— საინტერესოა... არ შეიძლება უფრო კონკრეტულად?

— სიტყვა „ლათინი" ბოდლერის „ბოროტების ახალ ყვავილებში" მეტ აზრობრივ და ემოციურ დატვირთვას იღებს ჩემს შემეცნებაში, როცა მას გავიაზრებ პროტოქართველურ მითოსთან კონტექსტში, როცა ჩემს ცნობიერებაში გაცხადებული „ლათინის" ქართველური ფენომენი და ბოდლერის ლექსი ხვდება ერთმანეთს ჩემს ემოციურ და ინტელექტურ სამყაროში, სულ სხვა სიღრმეს, სხვა ახალ განზომილებას იღებს ბოდლერის ლექსი. ეს არის „ბოდლერის ქართულად აღქმის ეფექტი". ეს არის „ბოდლერი+". ეს ბოდლერს ბოდლერზე მეტს ხდის...

იგივე ეფექტს ქმნის ლექსში „მოგზაურობა" კირკეს (ცირცეს) ჩართვა. ეს სიტყვა, ბოდლერის კითხვისას, სრულიად ახალ სამყაროთა ქვეტექსტს წარმოაჩენს „ბოროტების ყვავილებში". ქართველის ცნობიერებაში ეს სიტყვა უფრო ტევადია, უფრო მეტის მთქმელია, ვიდრე თვით ბოდლერის ლექსის კონტექსტში.

იგივე ითქმის ბოდლერთან სიტყვებზე „ლაბირინთი" (ლექსში „მეძველმანეთა ღვინო"), „ერებოსი" (ლექსში „კატები"), „ლეტა" (ლექსში „ქება ჩემს ფრანცისკას"), „კიბელა" (ლექსში „შორიდან მიხმობს" და სხვ.)... „კიბელა" პროტოქართველური წარმოშობის ქალღმერთია, იგივე „დინდი (ნ) ენა" („დიდი დედა"), „დიდი ნენა").

ასე რომ, სულ სხვა სიღრმეებს გაზიარებთ ბოდლერი, როცა ამგვარად აღიქვამთ მის ლექსს.

8. „მესი" და „აფუნი". ორი „დაკარგული ქართული სამეფოს" აღმოჩენა პარიზში, ელისეს მინდვრებზე.

პარიზში დიუმეზილის შრომების კითხვამ და სორბონის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში ურარტული ძეგლების გადათვალიერებამ მეტად საინტერესო შედეგი გამოიღო.

ურარტულ სამეფოთა (ტომობრივ გაერთიანებათა) კატალოგში ორი „ქართული სამეფო" აღმოვაჩინე. ესენია სამეფო „მესი" და სამეფო „აფუნი".

„მესი" ქართველურად (კოლხურად) „მაისს" ნიშნავს, „აფუნი" კი კოლხურად „გაზაფხულს".

ეს სამეფოები რომ ქართველურია, კერძოდ, კოლხური სამეფოებია, ამის შესახებ პირველად ამ წერილში იწერება. პირველად ამ წერილში დადგინდა აგრეთვე მათი ქართველური ეტიმოლოგია და სემანტიკური მნიშვნელობა.

ვფიქრობთ, ეს საინტერესოა როგორც საქართველოს უძველესი ისტორიის, ასევე ქართული ენათმეცნიერების თვალსაზრისით.

„მესის" ეტიმოლოგიური და სემანტიკური ფესვების ძიებამ ურარტუდან შუმერში ჩამიყვანა.

„მესი" შუმერულ და აქადურ წყაროებში მსოფლიო სიცოცხლის ხის, კოსმიური ხის სახელია და, მაშასადამე, ეს ქართველური სიტყვა („მესი") ჯერ კიდევ 6-7 ათასი წლის წინათ არსებულა შუმერულ-აქადურ სამყაროში. რამდენიმე ათასწლეულით გვიან ეს სიტყვა ერთ-ერთი უძველესი ქართველური სამეფოს („მესის") სახელწოდებად ქცეულა.

ამ ახლად „აღმოჩენილი ქართული სამეფოების" შესახებ ცალკე ესსე უნდა დაიწეროს.

მე მიხაროდა, რომ სწორედ ელისეს მინდვრებზე აღმოვაჩინე ურარტუში დაკარგული ორი ქართული სამეფო: მესი და აფუნი.

• • •

ვტოვებდი სტუმართმოყვარე პარიზს, ელისეს მინდვრებს... და შარლ დე გოლის აეროპორტიდან სამშობლოში ვბრუნდებოდი „ორბის" თვითმფრინავით „პარიზი-თბილისი"...

გზადაგზა ვწერდი ამ ესსეს...

მეხუთედ ვიყავი პარიზში, მაგრამ ეს მოგზაურობა მაინც სხვა იყო.

დიდი მადლობა მინდა ვუთხრა პარიზში საქართველოს ელჩს ბატონ გოჩა ჩოგოვაძეს და საქართველოში საფრანგეთის ელჩს ბატონ ბერნარ ფასიეს... მათ ბევრი გააკეთეს იმისათვის, რომ ჩემი მოგზაურობა პარიზში შედეგიანი და შთამბეჭდავი ყოფილიყო.

პარიზული შთაბეჭდილებები ამოუწურავია. მე მათ არაერთხელ მივუბრუნდები, როგორც ძვირფას სულიერ საუნჯეს.

პარიზი-პრალა-თბილისი.

დასასრული. დასაწყისი იხ. „საქართველოს რესპუბლიკა" № 108.

ხიდები

სიყვარული აგვამაღლებს!

ღია წერილი გერმანელ მეგობარს

ხუთ წელიწადზე მეტია, რაც გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ქალაქ ბიბერახსა და კახეთის შუაგულის, თელავის დამეგობრებას ჩაეყარა საფუძველი.

ყოველ წელიწადს რამდენჯერმე იცვლება დელეგაციები ამ ქალაქთა წარმომადგენლებს შორის. ორივე მხარეს იმართება საინტერესო და დაუვიწყარი ღონისძიებები.

ბიბერახის დელეგაციის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა ამას წინათ ბრძანა: „თუკი ჩვენი ხალხები მეგობრობდნენ, თუკი ჩვენი ქვეყნების დიპლომატიურმა ურთიერთობამ სახალხო დიპლომატიაშიც გადაინაცვლოს, ოჯახურ მეგობრობად იქცეს".

და ეს არა მარტო სურვილი და მცდელობაა, არამედ სინამდვილეც არის. ბიბერახელები ერთ-ერთი პირველები გამოეხმაურნენ და ჯერ კიდევ ამ ხუთიოდე წლის წინათ, 9 აპრილის შემდეგ, ჰუმანიტარული დახმარებით ჩამობრძანდნენ. მას შემდეგ, წამლებით, სამედიცინო აპარატურით, საუკეთესო კვების პროდუქტებით დატვირთული მეგობრები არაერთგზის გვეწვივნენ და შეძლებისდაგვარად დუხჭირი ცხოვრება შეგვიმსუბუქეს...

ეს წერილიც ერთ-ერთი ფურცელია ამ დიდი მეგობრობისა.

ქვირფასო ბატონო ცუგელ!

მივიღე თქვენი გულთბილი წერილი, გადმომცეს ამანათიც. თელავში მაჩვენეს თქვენი მუშათა კავშირის მიერ უხვად გამოგზავნილი მედიკამენტები, ტანსაცმელი, სურსათი... ეს ხომ პირველი არ არის. მინდა გულწრფელი მადლობა გითხრათ, რომ დღეს, ჩემი ერისათვის ამ გაჭირვების ჟამს, გაგონდებით, ჩვენზე ფიქრობთ, გვითანაგრძნობთ.

ჩვენი ხალხური სიბრძნე შთაგვაგონებს: „რაც მტრობას დაუნგრევია, სიყვარულს უშენებია".

ხალხი ერთმანეთის მტერი არასოდეს ყოფილა.

ამასთან დაკავშირებით, ნამდვილი ამბავი მინდა მოგითხროთ, რომლის ნათელმხილველი მე გახლდით.

მეორე მსოფლიო ომი ახალი დამთავრებული იყო. თბილისის ერთ-ერთ ძველ უბანში ხშირად მოდიოდნენ მოწყალების მისაღებად გერმანელი ტყვეები. და აი, ერთხელ, ორი მათგანი მიადგა ოჯახს, რომელმაც იმ ავადსახსენებელ ომში ერთადერთი ვაჟიშვილი დაკარგა. კარგად მახსოვს შინმოუსვლელის დედა მარიამ იაშვილი, ყოველწუთს რომ ელოდებოდა თავის პირმშოს, ჩვენ ბავშვებს კი, მისი სახელით, ტკბილეულს გვიმზადებდა, — მიირთვით, თითქოს ჩემს შვილს უჭამიაო. ხშირად გვესმოდა მისი მოთქმა, შემზარავი ტირილი და წყევლა-კრულვა ომის გამჩაღებლების მისამართით...

და, აი სახლის კარებთან დახვდა შინმოუსვლელის დედა ყოფილ გერმანელ ჯარისკაცებს, ერთმანეთს თვალებში ჩახედეს, ხელის ჟესტებითა და სახის მიმიკებით ლაპარაკობდნენ. გერმანელებმა უბიდან ფოტოები ამოიღეს და თავიანთი ოჯახის წევრებზე საუბარს მოჰყვნენ. მარიამმაც თავისი შვილის სურათი გამოიტანა, სტუმრებს უჩვენა და უთხრა: ასეთი და ასეთი ბიჭი სადმე ხომ არ შეგხვედრიათო. დროდადრო ჯიუტად და მკაცრად მიაშტერდებოდა გერმანელებს, თითქოს მათში რაღაცას ეძებსო... უცხო სტუმრები კი ვერაფერს მიმხვდარიყვნენ, მერე გავიგონეთ დეიდა მარიამის მძიმე, აღელვებული ხმა: „ჰააა, ან იქნებ შენა ნახე ჩემი შალვა და მიმალავ (ჯერ ერთ-ერთ მათგანს, შემდეგ მეორეს ჩაავლო ხელი), ან იქნებ შენ დასჯერ, ან"... აღარ უნდოდა ბოლომდე ეთქვა ის შემზარავი სიტყვა, გულს შიშნარევი ეჭვით რომ უღადრავდა.

გერმანელები დაბნეულები და გაოგნებულები შეჰყურებდნენ ერთმანეთს.

მარიამის სახლის ეზო ცნობისმოყვარე მეზობლებით გაივსო....

შინმოუსვლელის დედა უცებ შებრუნდა სახლში, თუკი რამ საჭმელ-სანოვაგე ებადა, გამოიტანა და სტუმრები დააპურა. თავისი შვილის ტანსაცმელიც გამოაყოლა, — ჩაიცვით, ჩემი ბიჭის ზომისანი ხართო...

ტიროდა მარიამი, იცრემლებოდნენ გერმანელები, თავს ვეღარ ვიკავებდით ჩვენც, იქ დამსწრენი...

ბოლოს, მარიამს ცრემლი გაუშრა, ორივე ხელით თვალები მოისრისა, სახე მოღუშა და თითქოს მთლად გახევდა... ხანგრძლივი დუმილის შემდეგ, გამყინავი ხმით, ყველას გასაგონად თქვა: „ეგება თქვენი დედაი ჩემზე მწარედა ტირისა"...

ბატონო ცუგელ! 50 წელიწადი გავიდა ამ ამბის შემდეგ და დღევანდელი გადასახედიდან ნათლად ვგრძნობ, რომ სწორედ ყველა ქვეყნის ადამიანთა ურთიერთგაგება, მიმტევებლობა, სიყვარული აღგვამაღლებს!

ჩემმა პატარა სოფელმა იყალთომ იმ ავადსახსენებელ ომში 450 კაცი გაგზავნა, 300 უკან აღარ დაბრუნებულა! (ზოგიერთმა ოჯახმა თავისი 2-3 შვილი დაკარგა), ამიტომაც, ჩვენ ყოველი წლის მაისის ბოლო კვირას, ხსოვნის დღეს, შინმოუსვლელთა დღეს აღვნიშნავთ, რომელიც არის არა მარტო ცრემლის, გლოვის, არამედ ვაჟკაცური შემართების, რწმენისა და იმედის დღეც!

კვლავ და კვლავ მაგონდება ჩვენი დელეგაციის მოგზაურობა თქვენს მხარეში, თქვენი შესანიშნავი ქალაქები და სოფლები, თქვენი ბრწყინვალე ისტორიული ძეგლები, ყოფა-ცხოვრება და, რაც მთავარია, — თქვენი ნაღდი და სუფთა გული, დაუვიწყარი შეხვედრები. მაგონდება და მშობლიურ კახეთში გნატრობთ!

ულრმესი მადლობა თქვენ და საამაყო, სამაგალითო გერმანელ ხალხს, საქართველოსადმი დახმარებისათვის.

მალე შეხვედრამდე!

გიორგი შათირიშვილი,
იყალთოს შოთა რუსთაველის სახელობის სახალხო აკადემიის რექტორი.

• • •

სურათზე: ცოლ-ქმარი ცუგელები.

ამ ტრიალ ქვეყანაზე

ბალკანეთი: გაეროს სამშვიდობო ძალისხმევა თუ ძალისმიერი გადაწყვეტა?

ისედაც უკიდურესად მწვავე, დაძაბული, აფეთქებადსაშიში ვითარება ბალკანეთის ნახევარკუნძულზე, რაც იუგოსლავიის ფედერაციის დაშლის შემდეგ (1991 წელი) შეიქმნა, დიდად დაძაბა ხორვატიის ასიათასიანი არმიის შეტევითმა ოპერაციამ ცალმხრივად გამოცხადებულ სერბთა კრაინის წინააღმდეგ ზაგრების ცენტრალური ხელისუფლების იურისდიქციის აღსადგენად.

ხორვატიის ჯარებმა 48 საათის განმავლობაში გატეხეს კრაინის სერბთა ჯარების წინააღმდეგობა, აიღეს ყველა მნიშვნელოვანი პუნქტი, მათ შორის სერბთა კრაინის დედაქალაქი კნინი.

ერთმნიშვნელოვანი როდია დასავლეთის, უწინარეს ყოვლისა ევროპის ქვეყნების რეაქცია ხორვატიის სამხედრო აქციასთან დაკავშირებით. თუმცა მათ დაგმეს ხორვატიის მოქმედება, რომელმაც გაეროს გვერდის ავლით განახორციელა კრაინელ სერბებთან დავის ძალისმიერი გადაწყვეტა, მაგრამ ზემოქმედების რაიმე კონკრეტული ღონისძიებების მიღებაზე არაფერი თქმულა. გაეროს გენერალურმა მდივანმა ბუტროს გალიმ განაცხადა, რომ ომი ვერ გადაწყვეტს ხორვატიის სადავო პრობლემებს და ზაგრებს მოუწოდა მოლაპარაკების მაგიდას დაუბრუნდეს. ევროკავშირის 15 ქვეყნის სახელით ესპანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ხავიერ სოლანამ ხორვატიას მოსთხოვა საომარი მოქმედებების დაუყონებლივ შეწყვეტა. **ამასობაში ზაგრებმა უკვე ძალისმიერი მეთოდით თავის სასარგებლოდ გადაწყვიტა პრობლემა, რომლის მოწესრიგება გაეროს მეოთხე წელია ვერ შეძლო.** ამ მხრივ ნიშანდობლივია ვაშინგტონის პოზიცია. პრეზიდენტმა ბილ კლინტონმა ერთგვარი შიში გამოთქვა ომის შესაძლო გაფართოებასთან დაკავშირებით. ამასთან აღნიშნა, რომ ხორვატიის მოქმედება იყო პასუხი ბოსნიელი სერბების აგრესიულ მოქმედებაზე, რაც დიდ საფრთხეს უქმნის მშვიდობას ბალკანეთში. თავის მხრივ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა უორენ კრისტოფერმა განაცხადა, რომ შეერთებულ შტატებს არ წაუხალისებია ხორვატიის მოქმედება, თუმცა იგი ბალკანეთის ნახევარკუნძულზე ახლებურ სიტუაციას ქმნის. **მან კრაინელ სერბებს სეპარატისტები უწოდა.** დასავლეთის მიმომხილველები იმასაც აღნიშნავენ, რომ გადამდგარი ამერიკელი გენერლები ხორვატთა ჯარის წვრთნაში მონაწილეობენ, რომ ხორვატიის პრეზიდენტი ხშირად ეთათბირება ამერიკის ელჩს ზაგრებში პიტერ გელბრაიტს. **თვით ის ფაქტი, რომ ახალი იუგოსლავიის საკავშირო რესპუბლიკა (სერბიისა და ჩერნოგორიის შემადგენლობით) ხორვატიის სამხედრო აქციის ფაქტობრივად მხოლოდ მკაცრი გაკიცხვით შემოიფარგლა, იმას მიუთითებს, რომ სერბთა კრაინის პრობლემა ხორვატიის საშინაო საქმედ მიაჩნიათ, ხოლო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის როლი მშვიდობის აღდგენაში (ახლანდელი პრეროგატივების ფარგლებში) ქმედითად არ გამოიყურება. არც ისაა გამორიცხული, რომ ზაგრებზე ზემოქმედება იქონია რუსეთის მიერ ჩეჩნეთის კონფლიქტის ძალისმიერი გადაწყვეტის მაგალითმა, რომლის კანონიერება რუსეთის საკონსტიტუციო სასამართლომ დაამტკიცა.**

შეიქმნა პარადოქსული მდგომარეობა. ბოსნია-ჰერცეგოვინის კრიზისმა არა მარტო გაეროს „უნიათობა" დაადასტურა, არამედ მთელ მსოფლიოში მკვეთრად დასცა მსოფლიოს ხუთი წამყვანი სახელმწიფოს (ამერიკის შეერთებული შტატების, რუსეთის, დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის) ავტორიტეტიც, რომლებმაც ბოსნიის კრიზისის მშვიდობიანი მოწესრიგების გეგმა შეიმუშავეს („საერთაშორისო საკონტაქტო ჯგუფი"). ბოსნიელ სერბთა ამბიციურმა მოქმედებამ ყოველგვარი საზღვარი გადალახა. რეალური საფრთხე შეექმნა თვით გაეროს სამშვიდობო ძალებს ყოფილ იუგოსლავიაში (26 ათასი სამხედრო მოსამსახურე).

ვაშინგტონის ინიციატივით ლონდონი, პარიზი, ბონი გაეროს გენერალური მდივნის თანხმობით სწრაფი რეაგირების საბრძოლოდ გამზადებული (ცისფერი ჩაფხუტების გარეშე) ძალების შექმნის გადაწყვეტილებას ღებულობენ. 11-ათასიანი კორპუსი ინგლისელი, ფრანგი და ჰოლანდიელი ჯარისკაცების შემადგენლობით ყოფილ იუგოსლავიაში გაიგზავნა გაეროს სამშვიდობო ძალების დასაცავად. ვითარება განსაკუთრებით დაძაბა ბოსნიაში გაეროს მიერ „უსაფრთხოების ზონებად" გამოცხადებული ექვსი ანკლავის ფარგლების დარღვევამ. **ასეთ ვითარებაში ბევრისათვის მოულოდნელად ხორვატიამ გაეროს ოთხწლიან ლოდინს არჩია სერბთა კრაინის პრობლემის ძალისმიერი გადაწყვეტა.** ხორვატიის ჯარების ელვისებურმა ოთხდღიანმა შეტევამ გარკვეულად შეცვალა ძალთა განლაგება ყოფილ იუგოსლავიის ფარგლებში. ბოსნიელი მუსლიმანური ხელისუფლება ხორვატიის ბუნებრივი სამხედრო მოკავშირე გახდა. თვით სერბთა შორის მწვავე უთანხმოებამ იჩინა თავი. ორას ათასზე მეტმა ლტოლვილმა დატოვა კრაინა და ძირითადად სერბიის ჩრდილოეთს მიაშურა. ნიშანდობლივია, რომ მოსალოდნელი დიდი წინააღმდეგობის მაგივრად (როგორც აღნიშნავენ, ამის საშუალება ჰქონდათ) კრაინის სერბების 50-ათასიანმა არმიამ მსუბუქი იარაღით სწრაფად დატოვა კრაინა და ბოსნიის ტერიტორიაზე გადავიდა. ხოლო მძიმე იარაღის ჩასაბარებლად ხორვატიის ტერიტორიაზე ორი პუნქტი შეიქმნა.

ოთხწლიანი მწვავე კონფლიქტის მოწესრიგების გარკვეული პერსპექტივები გამოჩნდა, აქტიურობა გამოიჩინეს რუსეთმა და ამერიკის შეერთებულმა შტატებმა: პრეზიდენტმა ბორის ელცინმა უმაღლესი დონის შეხვედრის გასამართავად მოსკოვში ხორვატიისა და სერბიის პრეზიდენტები ფრანიო ტუჯმანი და სლობოდან მილოშევიჩი მიიწვია. მოსკოვში ჯერ მხოლოდ მილოშევიჩი ჩავიდა. პრეზიდენტმა ტუჯმანმა მოსკოვში თავის ჩასვლის პირობად დასვა საკითხი ბოსნიელ მუსლიმანთა პრეზიდენტის ალია იზეტბეგოვიჩის მიპატიჟების შესახებ. ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ბილ კლინტონმა თავისი თანაშემწე უშიშროების საკითხებში ენტონი ლეიკი ლონდონს, პარიზსა და ბონს მიავლინა ბოსნიის კრიზისის მოწესრიგების ამერიკული გეგმის ვარიანტით, კვირას, კურორტ სოჩში, ენტონი ლეიკი რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრს ანდრეი კოზირევს შეხვდა. შეხვედრის შემდეგ, რუსეთის საგარეო უწყების ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ რუსეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების პოზიციები ყოფილი იუგოსლავიის კრიზისის მოწესრიგების სფეროში ერთმანეთს დაუახლოვდა. ელცინის ახალი ინიციატივა ითვალისწინებს ყოფილ იუგოსლავიაში დაპირისპირებული მხარეების ხელმძღვანელების შეხვედრას „საერთაშორისო საკონტაქტო ჯგუფის" წევრი სახელმწიფოების უმაღლესი დონის შეხვედრის პარალელურად. მიმომხილველები აღნიშნავენ, რომ პრეზიდენტ ბილ კლინტონის გეგმა ბოსნიაში რამდენიმე ეთნიკური სახელმწიფოს შექმნის ნაცვლად, ითვალისწინებს სერბიის გაძლიერებას ბოსნიელი სერბების ინტეგრირებით, ხორვატიისათვის კრაინის დაკანონებას და მუსლიმანურ სერბიასთან კონფედერაციის. ძნელი სათქმელია, თუ რამდენად რეალური იქნება ამგვარი გეგმის განხორციელება. არც რუსეთისათვის არის ადვილი თავისი პოზიციის მკვეთრად ჩამოყალიბება ქვეყანაში შექმნილი რთული წინასაარჩევნო ვითარების გამო, იმ დროს, როცა ბევრი პოლიტიკოსი თავისი პოზიციის პოპულისტურ სამოსელში გახვევას ცდილობს.

ერთი რამ ცხადია, ბალკანეთში დიდი ომის გაჩაღების რეალური საფრთხე მსოფლიო წამყვან სახელმწიფოებს უბიძგებს გადაუდებლად მიიღონ გადაწყვეტილება, ამ საკითხზე საბოლოო ავტორიტეტული სიტყვა „საერთაშორისო საკონტაქტო ჯგუფის" ხუთეულმა უნდა თქვას.

ირაკლი ჯაფარიძე.

ეს ჩვენი ისტორიაა

ალეკო ასლანიშვილი

და კრონოსი ჭამდა საკუთარ შვილებს

ღმერთმა იცის, ოდესელი ებრაელი ალექსანდრე ხაზანი როგორ მოხვდა საქართველოში, მაგრამ 1928 წელს უკვე IV განყოფილების ერთ-ერთი ქვეგანყოფილების უფროსი იყო. უმაღლესი განათლება ჰქონდა. არც მისთვის შეუშლია ხელი იმას, რომ ბიძამისი შანხაის უნივერსიტეტის პროფესორი იყო (როცა სურდა, პოლიტსამმართველო ბევრ რამეზე ხუჭავდა თვალს). ხაზანმა მოაწერინა ხელი მიხეილ ოკუჯავას ჩვენებაზე, რომ ის საფრანგეთის ფასიანი ჯაშუში იყო და თან კვების მრეწველობაში მავნებლობას ეწეოდა — დაბალი ხარისხის კონსერვებს უშვებდა, რათა ამით მოსახლეობის უკმაყოფილება გამოეწვია. ხაზანს ჩვევად ჰქონდა სხვა გამომძიებლების კაბინეტებში შესვლა და მათთვის შენიშვნის მიცემა პატიმრის მიმართ რბილი მოპყრობის გამო, მოითხოვდა, ისინი ფეხზე მდგომი დაეკითხათ. ხაზანის სადიზმი იმდენად თვალში საცემი გახდა, რომ კოლეგების აღშფოთებაც კი გამოიწვია — 1938 წელს მისი საქმე შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის (მაშინ სახელმწიფო პოლიტსამმართველო შინსახკომში შედიოდა) განსაკუთრებულ ინსპექციას გადასცეს განსახილველად. ბალჩო ქობულოვის დახმარებით ციხეს თავი დააღწია, მაგრამ ორგანოებში მაინც არ აღადგინეს. სამაგიეროდ... სკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის განკარგულებაში მიავლინეს. თუმცა იმასაც ამბობენ, ხაზანი ომის დროს ისევ შინსახკომის ფორმით დაიარებოდაო.

დაუნდობლობითა და არაადამიანურობით ყველას შიშის ზარს სცემდა ოპერრწმუნებული გიორგი პარამანოვი, 1907 წელს ბაქოში დაბადებული რუსი. თუმცა არც პარტიის წევრი იყო, მთელი მისი განათლება მხოლოდ წერა-კითხვის ცოდნით შემოიფარგლებოდა, მაგრამ გონებრივ სილატაკეს ხელი არ შეუშლია უმაღლესი კატეგორიის სპეციალისტის სახელის მოხვეჭაში. ამიტომაც იყო, რომ, როდესაც საქართველოს შინაგან საქმეთა სახკომი სერგო გოგლიძე 1938 წელს ლენინგრადის პოლიტსამმართველოს უფროსად გადაიყვანეს, ისიც თავისთან წაიყვანა.

ალბათ, ძნელია ადამიანის გონებამ მოიფიქროს წამების უფრო სასტიკი ფორმები და მეთოდები, რასაც ეს ოთხეული მიმართავდა დაკითხვისას. როგორც 1955 წელს მიცემულ ჩვენებაში შინსახკომის შინაგანი ციხის ყოფილი მუშაკები წერენ, კრიმიანი, სავიცკი, ხაზანი და პარამონოვი სპეციალურად მიდიოდნენ კომენდატურაში და დასახვრეტად გაყვანისას „თავიანთ" პატიმრებს კიდევ ერთხელ სცემდნენ, ასე ვთქვათ, „გამოსამშვიდობებლად". ხანდახან კი ამ მიზნით უშუალოდ დახვრეტის ადგილზეც მიჰყვებოდნენ. მათი „გართობა" მხოლოდ ხელმძღვანელობის ჩარევის შემდეგ შეწყდა. ეს ოთხეული ბერია-ქობულოვ-გოგლიძის დახვრეტის შემდეგ მიაყოლეს თავიანთ შეფებს.

სისასტიკითა და გულქვაობით მათ მხარს უმშვენებდნენ გამომძიებლები არმენ ოვიანი, ნიკოლოზ შუტოვი, ძმები გურგენ და ივანე აივაზოვები, ნიკოლოზ კოვალჩუკი, იაკობ ვინერი, დავით თვალჭრელიძე, ვლადიმერ მაქსიმენკო, გიორგი ლაზარიანი, იაკობ ალტაევ-დუბროვინი, სერგო დავლიანიძე... გრძელია ეს სია.

IV განყოფილების უფროსის ბოგდან (ბალჩო) ქობულოვის მოადგილე, უფროსი ლეიტენანტი სერგო დავლიანიძე მაშინ 33 წლის კაცი იყო. პირადად მონაწილეობდა პატიმრების წამებაში, რათა „აღიარება" გამოეგლიჯა. ბერიასთან დაახლოებული ჩეკისტი სწრაფად მიიწევდა სამსახურებრივ კიბეზე. შემონახულია მისი სამადლობელი წერილი ლავრენტისადმი, რომელიც ავქსენტი რაფავას (იმ დროს საქართველოს სახელმწიფო უშიშროების შეფის) დასმენაც არის: **„რაფავა იმიტომ არის ჩემს მიმართ ცუდად განწყობილი, რომ იცის პირადად თქვენი ყურადღება ჩემს მიმართ, რომელიც გამოიხატება ჩემს თანამდებობრივ წინსვლაში: ა) საქართველოს შინსახკომის საიდუმლო-პოლიტიკური განყოფილების უფროსის მოადგილე — 1937 წ.; ბ) საქართველოს შინსახკომის კონტრდაზვერვის განყოფილების უფროსი — 1938 წ.; გ) ა/კავკასიის რკინიგზის სახელმწიფო უშიშროების ტრანსპორტის განყოფილების უფროსი — 1939 წ.; დ) საქართველოს სახუშიშროების კომისრის მოადგილე — 1944 წ.; ე) ჩემი წარდგინება გენერალ-მაიორის წოდებაზე და პირადი საპასუხისმგებლო დავალებები ქართველ კონტრრევოლუციონერებთან ბრძოლაში 20 წლის მანძილზე. ამ გარემოებამ, აგრეთვე მასთან საერთო ძმაბიჭური ენის უქონლობამ, რაფავა იმ აზრამდე მიიყვანა, რომ მე მისთვის საშიში კაცი ვარ".**

თვით სისხლიანი, ჯალათი ნ. კრიმიანი 1953 წლის ოქტომბერში დაკითხვაზე უჩვენებს: **...დავლიანიძე მდაბალი კარიერისტი და ინტრიგანი, ბინძური შარიანია, რომელიც უარს არ ამბობს არაფერზე, ოღონდ დიდი თანამდებობა და მატერიალური უზრუნველყოფა მიიღოს. 1936-1938 წ. წ.-ში ერთ-ერთი ყველაზე სასტიკი გამომძიებელი იყო, რომელიც ძირითადად რაიონულ საქმეებზე გადიოდა პრაქტიკას. რაიონებში, სადაც ცოტა იყო დაპატიმრება ან აღიარება, ჩვეულებრივ დავლიანიძე ჩნდებოდა ხოლმე. ის ბერიას ყველაზე ერთგული კაცი იყო... ერთხელ დავლიანიძის კაბინეტში ვნახე: პატიმარი მაგიდასთან იწვა, დავლიანიძე ხელებით მაგიდას დაყრდნობოდა და ფეხებით ქელავდა პატიმარს. სხვებიც, იქ მყოფნი, მონაწილეობდნენ ცემაში... დავლიანიძე განსაკუთრებით სადისტურად სცემდა პატიმრებს, ქობულოვთან ერთად მოითხოვდა პატიმრებზე აქტიურ ფიზიკურ ზემოქმედებას.**

სულთამხუთავი ქ. სავიცკი კი 1953 წლის ნოემბერში უჩვენებს: **1937 წლის მეორე ნახევარში დავლიანიძემ დაკითხვაზე გამოიძახა კონსტანტინე არუთინოვი. პირველივე დღეს დავლიანიძემ ისე სცემა არუთინოვი, რომ ის მეორე დღეს მოკვდა.**



ამ საიდუმლო საძმო საფლავს 80-იანი წლების დასასრულს შემთხვევით მიაკვლიეს კომკავშირულ ქალაქ ბორის ძნელაძის მიდამოებში. ქურდულად დახვრეტილ „ხალხის მტრებისთვის" ნაჩქარევად წაყრილმა მიწამ ბოლომდე არ შეინახა საიდუმლო და სააშკარაოზე გამოიტანა ჯალათთა აუხედითი ნამოქმედარი.

რამდენი ასეთი საძმო საფლავი იყო! ფიზკულტურისა და სპორტის აკადემიის პროფესორი ავთანდილ ციბაძე იგონებს: როცა ჩვენი სასწავლებლის შენობის საძირკველს თხრიდნენ 1948 წელს, უამრავი ძვალი და თავის ქალა ამოყარეს. ხალხი დაბეჯითებით ამბობდა, ესენი 1924 წლის მსხვერპლნი არიანო (ვაკის ეს ტერიტორია მაშინ ხომ ქალაქიდან გვარიანად იყო დაცილებული). ორგანოს მუშაკები მოცვივდნენ და სასწრაფოდ მიაფარეს თვალს უზერხული „ნივთმტკიცება".

დახედეთ ამ ფოტოებს და თავი დახარეთ წამებულ მამულიშვილთა ნეშტების წინაშე!

ფოტოები გადაღებულია 1990 წელს, დოკუმენტური კინოსტუდია „მემატიანეს" მიერ მონაკვლევი კინომასალიდან.

ს. დავლიანიძე მონაწილეობდა მამუკას სოფელში (ასე ერქვა ხალხური ტოპონიმით ქვემო ნავთლუღის იმ ნაწილს, რომელიც მოქცეულია დღევანდელი რთველაძისა და ქ. ჩოლოყაშვილის ქუჩების გადაკვეთიდან წმ. ბარბარეს სახელობის ეკლესიამდე, მტკვრის სანაპიროს ჩათვლით. იქ ომამდე და მერეც არსებობდა 26 კომისრის სახელობის კოლმეურნეობა) „ანტისაბჭოთა ტერორისტული ჯგუფის" საქმის შეთითხვნაში (ამ „ჯგუფის" წევრთა უმრავლესობა ყოვლად უსაფუძვლოდ დაიხვრიტა „სამეულის" დადგენილებით). ბერიას მითითებით დაარბია სერგო ორჯონიკიძის ახლობლები. მისი დაწერილი დადგენილებით დააპატიმრეს სერგოს ძმა პაპულია ორჯონიკიძე, რომელიც შემდეგ დახვრიტეს. რაც მთავარია, მონაწილეობდა დიდი ქართველი მწერლის მიხეილ ჯავახიშვილის საქმის ფაბრიკაციაში. ფაქტობრივად, მანვე გაისტუმრა საიქიოს საქ. კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი მიხეილ კახიანი.

V განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, შემდეგ კი III განყოფილების მუშაკი იაკობ ვინერი (დაიბადა 1905 წელს ქუთაისში, პოლკოვნიკის წოდებით გადადგა 1954 წელს) აღიარებული იყო როგორც „ტალანტური ჩეკისტი-ავანტურისტი". მან ჯერ კიდევ 1932-1934 წ.წ-ში „გახსნა" პოლიტსამმართველოს ეკონომიკური განყოფილების უფროსზე ბალჩო ქობულოვზე „მოსალოდნელი თავდასხმის" საქმე და მისი შინაური კაცი გახდა. იყო „ქართული ნაციონალისტური ცენტრის" (ბესარიონ ჭიჭინაძე და სხვ.) ავტორი. როდესაც ვინერი „ცენტრისტებს" დაკითხავდა, ჩეკას შენობის წინ თბილისის პირველი სკოლის მოსწავლეები გროვდებოდნენ ხოლმე (ვინერის კაბინეტის ფანჯრები ლესია უკრაინკას ქუჩის მხარეს იყო), პატიმრების ისეთი ღრიალი ისმოდა, თვით ობერჯალათი სავიცკიც კი იძულებული ხდებოდა საყვედური ეთქვა მისთვის ამ აურზაურის გამო. ვინერი „მრეწველობაში მავნებლობის" ფაბრიკაციაში იყო დასპეციალებული.

IV განყოფილების ქვეგანყოფილების უფროსის ნიკოლაი კოვალჩუკის შემოქმედებაა „ამიერკავკასიის პრომპარტიის" აღმოჩენა (პრომპარტია — სამრეწველო პარტია — საფრანგეთის დაზვერვის მფარველობით მოქმედი განშტოებული ჯაშუშურ-მავნებლური ორგანიზაცია, დაკავშირებული იყო რუსეთის კაპიტალისტთა საზღვარგარეთულ გაერთიანება „ტორგპრომთან", რომლის ბაზაც პარიზში იმყოფებოდა — ასეთია გპუ-ს ქოსატყუილების მიერ შეთხზული მითი), რომელსაც თითქოს რესპუბლიკური ფილიალები და განყოფილებები ჰქონია. ეს ნიჭიერი მუშაკიც თან წაიყვანა ლენინგრადში ს. გოგლიძემ.

(გაგრძელება იქნება).

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „საქართველოს რესპუბლიკა" № 101, 102.

ინფორმაცია

ჟურნალისტებმა კავთელაშვილის თავდებით განთავისუფლება მოითხოვეს

15 აგვისტოს მოეწყო ჟურნალისტთა შეხვედრა პოლიციისა და პროკურატურის წარმომადგენლებთან. თავყრილობის მიზეზი იყო კავთელაშვილისა და ჭოველიძის გახმაურებული საქმე.

რაც შეეხება, კონკრეტულად გელა კავთელაშვილის საქმეს, — თქვა რესპუბლიკის გენერალური პროკურორის პირველმა მოადგილემ რეზო ყიფიანმა, — ჯერჯერობით მე არაფრის თქმა არ შემიძლია, რადგან საქმე ძიების პროცესშია.

ერთ-ერთი ჟურნალისტის შეკითხვაზე, თუ რაში ედება კავთელაშვილს ბრალი, ბატონმა რეზო ყიფიანმა უპასუხა, გელა კავთელაშვილმა შელახა ადამიანის უფლებები და სცადა აკრძალული ილეთებით გამოეძიებინა საქმე.

დედაქალაქის პოლიციის შეფმა დემურ მიქაძემ პოზიცია კი ასე გამოკვეთა: არ იფიქროთ, ადვოკატის როლში გამოვდივარ, მე არასოდეს ვყოფილვარ იმის მომხრე, რომ დამნაშავე დაუსჯელი დარჩეს, მაგრამ, რაც შეეხება, კონკრეტულ შემთხვევას, — პირადად გელა კავთელაშვილს, იგი არის თავისი საქმის პროფესიონალი, კაცი, რომელიც აფხაზეთის ომში ორჯერ დაიჭრა. საქმე ის გახლავთ, რომ მან ეს საქმე თვითონ მიიღო და გამოძიებასაც თვითონვე მოჰკიდა ხელი. დარწმუნებული ვარ, ამ დანაშაულს ფარდა აეხდება. ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი სწორედ ეს არის, მაგრამ რას ვიტყვით, მაშინ, როცა ყველაფერი გაირკვევა და გამოჩნდება ვინ ვინ არის, ვიქნებით კი მაშინ ჩვენი სინდისის წინაშე მართლები?

ბატონ დემურ მიქაძის სიტყვებს პრესისა და ტელევიზიის მუშაკების ერთსულოვანი მხარდაჭერა მოჰყვა. ჟურნალისტებმა გელა კავთელაშვილის თავდებით განთავისუფლება მოითხოვეს.

გულიკო მარკოზაშვილი.

აუმჯობესებს სმენასა და მხედველობას

უკანასკნელ დრომდე მხედველობისა და სმენის ნერვთა ატროფია, პრინციპში, უკურნებელი იყო. მაგრამ, ამ ცოტა ხნის წინათ, სანქტ-პეტერბურგის ადამიანის ტვინის ინსტიტუტისა და ტაგანროგის „რიტმის“ სპეციალური-საკონსტრუქტორო ბიუროს სპეციალისტებმა შექმნეს „ჩაკრა-1“ ხელსაწყო, რომელსაც შეუძლია დაგვეხმაროს ატროფიის მრავალი შემთხვევის დროს. ინსტიტუტის კლინიკაში მკურნალობის კურსი გაიარა 5 ათასზე მეტმა კაცმა, რომელთა შორის, უმრავლესობამ საგრძნობი შვება იგრძნო, ზოგიერთი მათგანის მხედველობა პრაქტიკულად ნორმალური გახდა. განსაკუთრებით ეფექტიანია ელექტროსტიმულაცია მხედველობისა და სმენის ნერვის თანდაყოლილი ატროფიის მქონე ბავშვებში — ხერხდება მათი 70 პროცენტის განკურნება.

უზენაესი სასამართლოს დარბაზიდან

წარსულში ნასამართლევი თამაზ პეტანიანი დაუკავშირდა გამოძიებით დაუდგენელ პირს, ვისთან ერთადაც გადაწყვიტა დანაშაულებრივი გზით მოეპოვებინა 1 მილიონი რუსული რუბლი, აზარტული თამაშის დროს წაგებული ვალის გადასახდელად. ამ მიზნის განსახორციელებლად მათ თბილისში დაიქირავეს მსუბუქი ავტომანქანა, რომელსაც მართავდა მოქალაქე პარკაია, მძღოლი გაიტყუეს ქარელის მიმართულებით. ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით პეტანიანმა სიცოცხლეს გამოასალმა იგი, ბოროტმოქმედებმა გვამი იქვე დაწვეს, დაეუფლნენ ავტომანქანას და მიიმალნენ შემთხვევის ადგილიდან.

უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ ჩადენილი დანაშაულისათვის თამაზ პეტანიანს მიუსაჯა სასჯელის განსაკუთრებული ღონისძიება — სიკვდილით დასჯა.

რწმენა

როგორც სიმბოლო მეგობრობისა

ონის ებრაელთა სინაგოგა 100 წლისაა

მშვენიერია ჩემი მშობლიური ქალაქი, ცხონდეს მისი ნათლია, ამ წალკოტს რომ მზის სიგალობელი სახელი — ონი დაანათლა.

ონში ძველთაგანვე ცხოვრობდა შორეული სამშობლოდან გადმოხვეწილი ღვთის მორწმუნე, პატიოსანი და მშვიდობისმოყვარე ებრაელთა თემი, ისინი ქართველ ხალხს იმთავითვე შეეწყვნენ და მჭიდრო მეგობრული კავშირი გააბეს ადგილობრივ რაჭველებთან. ებრაელები მისდევდნენ ვაჭრობას, ხელოსნობას, მიწათმოქმედებას, მეცხოველეობას და, მაინც, მათი მთავარი საზრუნავი ღვთის რწმენა გახლდათ.

რომელი კუთხიდან, რომელი მხრიდანაც გინდა გადმოხედო ონს, ყოველი კუთხიდან მოჩანს ებრაელთა თეთრი სინაგოგა, გეგონება რომ ჩამჯდარა შუა ქალაქში და თვალს ასე ჰგონია, აი, აგერ აფრინდება, აი, აგერ და ლურჯ ეთერში კამარას შეჰკრავსო, მაგრამ სინაგოგა არსად გაფრენას არ აპირებს, პირიქით — მასთან ყოველ ზაფხულს გუნდ-გუნდად მოფრინავენ მერცხლები და მის თავანზე ირაოს უვლიან. ამაყად თავაწეული ეგებება მზის ყოველ ამობდომას სინაგოგის დავითის რვაქიმიანი ვარსკვლავი. ლამაზია მისი ცქერა მზის ამოსვლისას და უფრო ლამაზი მზის ჩასვლისას, როცა ჰელიოსის უკანასკნელი სხივები სასოებით ჰკოცნიან გუმბათის წვერს.

ონის ებრაელთა სინაგოგას მალე 100 წელი შეუსრულდება.

მისი მშენებლობა ონელ ხელმოკლე ებრაელობას 1891 წელს ხახამ ელია ამშიკაშვილის ხელმძღვანელობით დაუწყიათ. ქალაქის ცენტრში მშენებლობისათვის შეუძენიათ მიწის ნაკვეთი, მაშინდელი ქალაქის მესვეურებისაგან თანხმობა მიუღიათ და საქმეც ადგილიდან დაძრულა. პროექტი პოლონეთიდან ჩამოიტანეს, ხოლო მშენებლობაზე გამოცდილი ბერძენი კალატოზები მოიწვიეს უცხოეთიდან. სინაგოგის ასაგებად საჭირო იყო თეთრი ქვის ფიქალი, რომელიც მეზობელ ამბროლაურის რაიონში მოიპოვებოდა, დაიდო ხელშეკრულებები და სოფელ იწაში (ქვაბტკარში) დაიწყო თეთრი ქვის მოჭრა, რის ამოზიდვაც ებრაელმა ვაჭრებმა ითავეს, ისინი დიდი ჭაპანწყვეტით ხარ-კამეჩით ეზიდებოდნენ ამ ძვირფას საშენ მასალას 35-კილომეტრიან საურმე გზაზე. ფეხზე დადგა მთელი ონელი ებრაელობა, ქალი თუ კაცი, მოხუცი თუ ახალგაზრდა, ყველა სინაგოგის მშენებლობის დასახმარებლად იყო დაკავებული.

ოთხ წელიწადს გრძელდებოდა მშენებლობა, არ ეძინათ მესვეურთ, და, აი, 1895 წელს დიდმა შრომამ და მონდომებამ ნაყოფი გამოიღო — რაჭის ლაჟვარდებს შეენივთა ამაყად თავაღერილი თეთრი სინაგოგა, რომელმაც განსაკუთრებული სისპეტაკე და მშვენიერება შემატა ჩვენს მშობლიურ ქალაქს.

სინაგოგამ თავის გარშემო მრავლად შემოიკრიბა მორწმუნე ებრაელობა. ონი — მალე გადაიქცა, როგორც მას უწოდებდნენ, პატარა იერუსალიმად, რასაც ხელს უწყობდნენ: ბიბლიის, თალმუდის, ნებიიმის და სხვათა კარგი მცოდნე სწავლული რაბინები. მარტო ის რად ღირს, რომ ონის ებრაელთა სინაგოგაში წლების მანძილზე მთავარ რაბინად მოღვაწეობდა მთელ საქართველოში სახელგანთქმული რაბინი დავით ბააზოვი, რომელიც გამოირჩეოდა დიდი მჭევრმეტყველებით, განათლებით, ჰუმანურობით, კულტურით და პოლიტიკური გამჭრიახობით. დავითი დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა არა მარტო ებრაელობაში, არამედ მთელ ქართველ ხალხში. მასზე, მის საზოგადოებრივ საქმიანობაზე ლეგენდებს ქმნიდნენ. მაგალითად: როგორ დახვდა იგი პირსისხლიან ალიხანოვს და მისგან დარბევას გადაარჩინა ონი, როგორი პატივი მიაგო დავითმა ქართველი ხალხის დიდი მგოსნის აკაკი წერეთლის მობრძანებას რაჭაში, როგორი სიტყვა წარმოთქვა მან ვარშავაში ევროპის რელიგიურ კონფერენციაზე, სადაც ქართველი ერი მსოფლიოში თავისი ჰუმანურობით ყველაზე მაღლა დააყენა. და განა მარტო ერთი რაბინი იყო სახელგანთქმული ონის სინაგოგაში? — ონს ახსოვს რაბინების მთელი პლეადა.

ონის სინაგოგას საუკუნის მანძილზე მრავლად ახსოვს სიხარულიცა და ტკივილიც. ახსოვს — საქართველოში, როცა ურწმუნონი ანგრევდნენ ეკლესია-მონასტრებს, ცხადია, საფრთხე სინაგოგასაც დაემუქრა, მაგრამ ხალხის ერთსულოვნებამ, რაბინ დავით ბააზოვის საზრიანობამ და გაბედულებამ იხსნა სინაგოგა დაკეტვა-დანგრევისაგან.

სინაგოგას კარგად ახსოვს ბევრი მხარდამჭერი და დამხმარე, როგორც ებრაელთა, ასევე ქართველთა მხრივ. ონის სინაგოგას დღესაც თავის განსაკუთრებულ ელფერსა და კოლორიტს უნარჩუნებს ხის სავარძლები, რომლებიც ონის მკვიდრ ხელოსნებს — დგვარელებს დაუმზადებიათ, ონის სახლების წინ, კედლის მოხატულობა კი მხატვარ შოთა გოშაძის ნახელავია, რომელმაც, აგრეთვე, სალოცავი დახატა და მისი ეს შესანიშნავი ტილო ონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის საკუთრებას შეადგენს. გასულ წელს კი ახალგაზრდა მხატვარმა თბილისის სამხატვრო აკადემიის მეხუთე კურსის სტუდენტმა ფრიდონ ლობჟანიძემ ონის სინაგოგა გრავიურაზე შეასრულა და სალოცავის ასი წლისთავს მიუძღვნა საჩუქრად.

ახლა, როცა ონის ებრაელობა თითქმის დაცლია და სულ რამდენიმე ათეულ ოჯახს-ღა ითვლის, სწორედ ახლა მოუწია სინაგოგას საიუბილეო თარიღმა. რაოდენ დასანანია, რომ 1991 წლის მიწისძვრამ მთელ ქალაქთან ერთად საშინლად დააზიანა სინაგოგა, — დაბზარა მისი კედლები, დააზიანა თაღი და შესასვლელი. მთლიანად დაინგრა მიმდებარე ძველი სალოცავი, დაინგრა სათავსები და ქვის გალავანი. იუბილე კი კარზეა მომდგარი. იგი მარტო ონელ ებრაელთა ზეიმი როდი იქნება. ონში უკვე შეიქმნა სინაგოგის საიუბილეო კომისია, რომლის შემადგენლობაში არიან საქართველოს პარლამენტის დეპუტატი გივი ლობჟანიძე, ონის რაიონის გამგებელი რევაზ ნოდარიშვილი, ონის ებრაელთა სინაგოგის რაბინი მორდეხ ყოყუაშვილი, ონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორი გია ბერიშვილი და სხვები.

გასაკეთებელი ძალიან ბევრია — სინაგოგას შეკეთება ესაჭიროება, გალავანსა და ეზოს — კეთილმოწყობა. განზრახულია სტუმრების მოწვევა, როგორც საქართველოდან, ასევე, ისრაელიდან, შესაქმნელია სპეციალური კუთხე სინაგოგის ისტორიის მასალებისათვის. შესაქმნელია საიუბილეო სამკერდე ნიშნები და სხვა მრავალი. ყოველივე ამისათვის კი საჭიროა გარკვეული სახსრები. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ამ კეთილშობილურ საქმიანობაში მხარს დაგვიჭერენ როგორც რაიონის მოსახლეობა, ასევე რესპუბლიკის მთავრობა და სხვადასხვა საზოგადოებები, დახმარების დიდი იმედი გვაქვს ისრაელიდან და გერმანიიდან.

ონის ებრაელთა სინაგოგის 100 წლისთავის ღირსეულად აღნიშვნა კიდევ უფრო განამტკიცებს ორი ერის — ქართველი და ებრაელი ხალხების საუკუნოვან მეგობრობას.

დანიელ ხახიაშვილი,
ონის ებრაელთა სინაგოგის 100 წლისთავის საიუბილეო კომისიის თავმჯდომარე.

მედიცინა

მართლაც საგულისყურო გამოფენა



წამალთმცოდნე სოკრატ სალუქვაძეს, თბილისის პირველი აფთიაქის მმართველს, სულაც არა აქვს პრეტენზია ჰიპოკრატეს „დაუდგეს“ გვერდით, მაგრამ მის მიერ შეგროვილი საგამოფენო ექსპონატები მართლაც რომ საინტერესოა. ამაში თავად დარწმუნდებით, თუ დაათვალიერებთ აქვე, აფთიაქში გახსნილ ქართული წამალთმცოდნეობის ისტორიის მუზეუმისათვის განკუთვნილ ექსპოზიციას, რომელიც ძველი წელთაღრიცხვის მესამე-პირველი ათასწლეულების სამკურნალო პროცედურების ამსახველი მასალებით იწყება, აქ გაიგებთ, რომ კოლხეთის მეფის აიეტის ქალიშვილი მედეა, რომელმაც არგონავტ იაზონს მოაპოვებინა ოქროს საწმისი, სნეულთ კურნავდა მხოლოდ მისთვის ცნობილი პოლიფარმაციის მეთოდებით, ჯადოსნური საშუალებებით და მზამებით; აქ შეიტყობთ, რა არის „გალენიკა“, როგორ გაკეთდა კაცობრიობის ისტორიაში პირველი ქირურგიული ოპერაცია მედტექნიკის იარაღებით, როგორ გამოიყურებოდა ვარძიის და უფლისციხის აფთიაქები, წამლის სახლი ფეოდალ მაღალაძეებისა სოფ. წინარეხში და ზაზა ფანასკერტელის შთამომავლისა სოფელ ნიჩბისში, ეს ორი უკანასკნელი მანვე აღმოაჩინა არქეოლოგიური გათხრებით.

მუზეუმში ნახავთ ქურჭელს, გველის რელიეფური გამოსახულებით, ქერამიკულ ქოჭობს, სპილენძის თანგირაზე რომ იდგმებოდა, რომელშიც ჩვენი წინაპრები ამზადებდნენ „გამონაცემებს“ და „მონახარშებს“. აქვეა სამი გველის რელიეფური გამოსახულებით კონუსური ფორმის მინის ძველი უნიკალური დიზატორ-წვეთმზომი. ეს არქეოლოგიური ნივთი ქართული სამედიცინო ცივილიზაციის უტყუარი მაცნეა, აქვეა ბრინჯაოს სამედიცინო ინსტრუმენტების ფოტოასლები, „წიგნი სააქიმოის“ და „კარაბადინების“ პუბლიკაციები, მეფე ვახტანგ VI-ის ანდერძი, რომელშიც, კერძოდ, ნათქვამია: „ქ. ჩვენ, საქართველოს გამგებელმან, ბატონიშვილმან პატრონმან ვახტანგ, თვითეულად ფურცლად მოშორებული კარაბადინი ესე შევაწყობინეთ და შევაკვრევინეთ სახსრად და სასარგებლოდ კაცთათვის და სახმარად ყოველთა“.

ამ ანდერძით გარკვეულია კარაბადინის კანონიკურობა ქართულ სახელმწიფო აპარატში, მრავლად არის აგრეთვე სხვა ექსპონატები და დოკუმენტები, რომლებიც წლების მანძილზე რუდუნებით შეუგროვებია კოლექციონერს.

ცალკე ოთახი ეთმობა პირველი აფთიაქის ისტორიას, რომელიც თითქმის ერთი საუკუნის წინ გაიხსნა, ფრიდრიხ ჰაინეს თაოსნობით. XX საუკუნის დამდეგს აფთიაქს სათავეში უდგებიან პირველი ქართველი წამალთმცოდნეები: ვიქტორ ლოლაძე, პროფესორი ვალერიან შოთაძე, ვალერიან გვიაძე, ოთარ სანებლიძე, ოთარ ნებულიშვილი, ავთანდილ სანიკიძე და სხვები, მათ აფთიაქი ქალაქის ერთ-ერთ საუკეთესო სამედიცინო დაწესებულებად გადააქციეს.

სოკრატ სალუქვაძემ აფთიაქი საქართველოში თავისებურ მუზეუმად და სასწავლო ცენტრად გარდაქმნა, სადაც საწარმოო პრაქტიკას გადიან უმაღლესი სასწავლებლების და კოლეჯების სტუდენტები.

სოკრატ სალუქვაძემ ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის და იუნესკოს წინაშე დააყენა საკითხი: მიიღონ გადაწყვეტილება, რათა მსოფლიო მედიცინის ემბლემად დამტკიცდეს გამოჩენილი ქართველი მხატვრის ელგუჯა ბერძენიშვილის გრაფიკული შედევრი „კურა მედიანა“. ყველაზე გავრცელებულ ემბლემად ითვლება „ჰიგეა“. მასზე გამოსახული ქალი ლამბაქიდან რძეს ასმევს გველს, მაგრამ ეს ქრონოლოგიურად ძალიან ჩამორჩება მედეას ეპოქას და არგონავტიკას, რაზედაც სრულიად სამართლიანად აცხადებს პრეტენზიას ჩვენი წამალთმცოდნე. ცნობილი რუსი მეცნიერი, პროფესორი ვალერი კრიკოვი წერს, რომ ბერძნულ წერილობით წყაროებში სიტყვა „მედიცინა“ გვხვდება ძვ. წ. მეთორმეტე საუკუნიდან, ე. ი. მას შემდეგ, რაც მედეას ცხოვრების მეორე ნახევარი საბერძნეთს დაუკავშირდა. ს. სალუქვაძე ამტკიცებს, რომ ძველ ბერძნულ ნაწერებში ტერმინი „მედიცინა“ ეტიმოლოგიურად მედეას სახელიდან უნდა წარმოდგებოდესო, ხოლო მსოფლიო მედიცინის ისტორიის კვლევის ფუძემდებელი და სისტემატიკოსი, გერმანელი მეცნიერი, კურტ შპრენგელი მსოფლიო მედიცინის ისტორიას იწყებს „უძველესი კოლხური“ მედიცინით და ტერმინი „კურა მედიანა“ ანუ მედეასეული მკურნალობა მან დაამკვიდრა მედიცინის ისტორიაში 1792 წლიდან.

ბევრი საინტერესო წინადადება აქვს მკვლევარს სამედიცინო ტერმინოლოგიის „გაქართულების“ თვალსაზრისით, მაგრამ ეს ცალკე წერილის თემაა, ახლა კი, სოკრატ სალუქვაძე თბილისის პირველ აფთიაქში გამოფენაზე გიწვევთ...

დავით რამიშვილი.

მართლწესრიგი

მექრთამე იქ არის, სადაც ქრთამის მიმცემია

საგზაო პოლიცია (ძველი ავტოინსპექცია)... ამ უწყების მუშაკი რატომღაც ყოველთვის ასოცირდება შარაგზის ოფიციალურ, შეიარაღებულ, ნებადართულ ყაჩაღთან, რომელიც მაგისტრალზე გამოდის მხოლოდ და მხოლოდ ფულის საშოვნელად, მძღოლების გასაფცქვნელად. ყოველ ნაბიჯზე დგანან, ყოველ ნაბიჯზე ჩხრეკენ, ყოველ ნაბიჯზე ართმევენ...

საგზაო პოლიცია ცდილობს ეს უარყოფითი, საჩოთირო იარლიყები მოიხსნას, პრესტიჟი განიმტკიცოს, თავისი რიგები უღირსებისგან გაწმინდოს, მძღოლებთან ნორმალური, საქმიანი ურთიერთობა დაამყაროს. მე პირადად ასეთი აზრი გამოვიტანე 10 აგვისტოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს საგზაო პოლიციის მთავარ სამმართველოში გამართული პრესკონფერენციიდან.

საგზაო პოლიციის მთავარი სამმართველოს უფროსმა ბატონმა ლევან კენჭაძემ თავად დასვა კითხვა: სადაა მექრთამე? და თავადვე უპასუხა: მექრთამე იქაა, სადაც ქრთამის მიმცემია! ეს რა, გაღმა შედავებაა? არა მგონია. უფრო ცხოვრებისეული დასკვნაა, — ლამის ქრისტეს მეთერთმეტე მცნებაა, — ნუ მისცემ ქრთამს! და აღარც მექრთამე გვეყოლება...

საქრთამო მიზეზი, იცოცხლეთ, მილიონია. წლეულს, 6 თვეში, რესპუბლიკაში აღრიცხულია საგზაო მოძრაობის წესების 199 ათასი დარღვევა. თითქმის ყოველი მეორე მძღოლი დასჯილია. აღრიცხულია 686 ავტოსაგზაო შემთხვევა: დაიღუპა 216, დასახიჩრდა 856 კაცი. სამწუხაროდ, არის ზრდა შარშანდელ ამავე პერიოდთან შედარებით (ყველა მაჩვენებლის მიხედვით).

რატომ? შარშანდელთან შედარებით მოძრაობის ინტენსივობა გაზრდილია თითქმის 70 პროცენტით. ჩვენდა სავალალოდ, მოძრაობის ინტენსივობის გაზრდასთან მოსდევს დარღვევების, დანაშაულობების მატებაც. მარტო ამ ფაქტის აღნუსხვამ უნდა დაგვაფიქროს, რომ ავტოავარიების 41 პროცენტი გამოწვეულია სიმთვრალით. ამასთან, მოსახლეობისაგან ამოღებულია 177 ტონა ფერადი ლითონი, 270 ტონა შავი ლითონი, 280 კუბური მეტრი ხე-ტყის მასალა...

და ყველაზე საგულისხმო მონაცემები: ცენტრალურ მაგისტრალებზე ხდება სისხლის სამართლის დანაშაულობები, ვთქვათ, მგზავრთა ძარცვა-ყაჩაღობა, ავტომანქანების გატაცება... საგზაო პოლიციის ძალებით გახსნილია ასეთი დანაშაულობების 93 პროცენტი, რაც რესპუბლიკურ მაჩვენებელზე უკეთესია. გაუმჯობესებულია საერთო საგზაო შემთხვევების გახსნის მაჩვენებელიც.

ეს ყველაფერი მაინც არ აკმაყოფილებს საგზაო პოლიციას. იგი მუშაობის უფრო ეფექტიან ხერხებს ეძებს, ტექნიკას, ტრანსპორტს, კავშირის საშუალებებსაც იძენს და... თავის რიგებსაც წმენდს. მარტო წლეულს, დათხოვილია 87 მუშაკი. ეს ბედი კიდევ ბევრს ემუქრება. ყოველი ფეხის ნაბიჯზე სდევნიან არა მარტო მძღოლებს, არამედ საკუთარ თანამშრომლებსაც. მაგრამ, სულ ასე ხომ არ ვიქნებით: უტვინოები (ეს ტერმინი თავად იხმარეს საგზაო პოლიციის ხელმძღვანელებმა) მივიღოთ და მივიღოთ, უმეტესად პროტექციით, შემდეგ კი ვყაროთ და ვყაროთ? ამას წერტილი დაესმება. პოლიციის აკადემიაში გახსნილია სპეციალური ფაკულტეტი, რომელიც კადრებს მოამზადებს საგზაო პოლიციისათვის. ამიერიდან აქ მოვლენ არა საეჭვო, არამედ საიმედო ადამიანები, რომლებიც თუნდაც პატარა ხელფასის გამო, დიდ ცდუნებას აღარ აჰყვებიან.

ღმერთმა ქნას! ასე სჯერათ და ჩვენ რაღა უფლება გვაქვს, არ დავიჯეროთ? თუმცა...

თუმცა, პრობლემა მაინც რჩება: ქრთამის ამღები გამოილევა, მაგრამ ვინ გამოლევს ქრთამის მიმცემს?

ბონდო ზულიაშვილი.

პოლიციის სადაგი დღეები

სიკეთის შუქი თვალებში...

ქუთაისის შინაგან საქმეთა სამმართველოს (უფროსი რ. ახაიძე) საგუშაგო-საპატრულო სამსახურის ცალკეული ასეულის მეთაურის მოადგილე, პოლიციის კაპიტანი მიხეილ მუმლაძე, იმ შემზარავ ამბავს ყვება, 22 მაისის საღამოს, ქალაქის ცენტრალურ ბაღში რომ მოხდა: აქ საპატრულოდ გასულმა პოლიციის უფროსმა ლეიტენანტმა რ. კენჭაძემ, პოლიციელებმა მ. ბანძელაძემ, ე. კილაძემ და დ. გაბიძაშვილმა, სისხლში მცურავი სამი მოქალაქე ნახეს, ერთს სიცოცხლის ნიშანწყალი უკვე აღარ ეტყობოდა (მოგვიანებით მეორე დაჭრილიც გარდაიცვალა). პოლიციელები ბოროტმოქმედს დაედევნენ, იგი რესტორან „იმერეთის“ გვერდით მდებარე საცხოვრებელ ბინაში შევარდა, მაგრამ შეძლეს სხვენზე ამძვრალი, ნაჯახმომარჯვებული, მთვრალი მკვლელის, ვინმე შალიკაიანის განიარაღება.

ვინ მოთვლის, რამდენჯერ ისახელა თავი პოლიციის ამ დანაყოფმა დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლაში.

ქუთაისის ავტოსადგურის ტერიტორიაზე პატრულირებისას პოლიციელმა ჯონი სვანიძემ შენიშნა: ერთი მოქალაქე მგზავრებს ედავებოდა. ვიდრე პოლიციელი დავის მიზეზს გაარკვევდა, მოდავემ ჯიბიდან ხელყუმბარა ამოიღო, სასხლეტი მომართა და პოლიციელსა და მგზავრებს აფეთქებით დაემუქრა. საბედნიეროდ, პოლიციელის წამიერმა რეაქციამ აფეთქებისაგან იხსნა ათეულობით ადამიანის სიცოცხლე და ავტოსადგური. ასაფეთქებლად მომზადებული ხელყუმბარა დამნაშავეს ხელიდან გამოსტაცა, თვითონ კი პოლიციელების: გოჩა ხოხიაშვილისა და აკაკი მშვილდაძის დახმარებით პოლიციის განყოფილებაში მიიყვანა.

რკინიგზის სადგურის ტერიტორიაზე ბოროტმოქმედმა კომერციული ჯიხური ააფეთქა, რამაც გამყიდველი ქანა ხმელიძე იმსხვერპლა. მძიმედ დაშავდნენ ჯიხურთან მდგომი ქალი და ბავშვი. მკვლელი გაიქცა, ცოტაც და იგი თვალს მოეფარებოდა, მაგრამ ზუსტი გასროლით პოლიციელმა (რომლის გვარს შეგნებულად არ ვასახელებთ), ადგილზე მოკლა არაკაცი, რომელიც ძებნილი ყაჩაღი სოსო ჯიშკარიანი აღმოჩნდა.

ახალგაზრდულია საპატრულო-საგუშაგო სამსახური. ახალგაზრდაა მისი ხელმძღვანელი, პოლიციის უფროსი ლეიტენანტი ელდარ ქუმსიძე, ახალგაზრდები არიან ოცმეთაურები, პოლიციის უფროსი ლეიტენანტი რამაზ კენჭაძე, პოლიციის ლეიტენანტები ემზარ რამიშვილი და მირზა ბიბილაშვილი.

ფართოა ამ სამსახურის მოქმედების სპექტრი, იგი სპეციალურად დანიშნულ პოლიციის ჯგუფეულ წარმოადგენს, რომელიც იცავს საზოგადოებრივ წესრიგს ქუჩებში, მოედნებზე, ბაღებში, საერთოდ საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებზე, ასევე მისი პრეროგატივაა მასობრივ და სამოქალაქო ღონისძიებათა დაცვა, მოქალაქეთა პირადი უშიშროების უზრუნველყოფა, დანაშაულის და სხვა სამართალდარღვევათა აღკვეთა და გამოვლენა.

ეს კარგად აქვთ შეგნებული ამ სამსახურის თანამშრომლებს: ხვიჩა ფირანაშვილს, ლევან ჯიბლაძეს, დავით კლდიაშვილს, იური გიორგაძეს, გიორგი შამიაშვილს, ზაზა კუხალაშვილს, დავით კაპანაძესა და სხვებს, რომლებიც ყველაფერს აკეთებენ დაკისრებული მოვალეობის მთელი პასუხისმგებლობითა და კეთილსინდისიერად შესრულებისათვის. თუმცა არიან ისეთებიც, თავიანთი უღირსი მოქმედებით რომ არცხვენენ კოლექტივის სახელს. სწორედ ამიტომ იყო, რომ ხელმძღვანელობამ ბოლო სამ თვეში თავისი რიგებიდან ცხრა პოლიციელი და ორი სტაჟიორი დაითხოვა.

ასეულის ხელმძღვანელობა თანამშრომელთა არა მარტო პროფესიულ დაოსტატებას უთმობს დიდ ყურადღებას, არამედ მათი ინტელექტუალური დონის ამაღლებასაც. კოლექტივის ცხოვრებაში უკვე ტრადიციად დამკვიდრდა პოლიციის მუშაკთა ექსკურსიები მუზეუმებში, ლექციები და დისპუტები სხვადასხვა აქტუალურ საკითხებზე და სხვა. ახლახან კიდევ ერთი კარგი სპორტული ღონისძიება მოეწყო. ჩატარდა საფეხბურთო ჩემპიონატი, რომელმაც გამარჯვებული გუნდი გამოავლინა. იგი გარნიზონის პირველობაზე იასპარეზებს.

ბევრი კარგი ვაჟკაცი მუშაობდა ამ კოლექტივში. მათ შორის იყვნენ ჭიათურელი ბაჩუკი ნეფარიძე, ფარცხანაყანელი კობა ფხაკაძე და ქვიტირელი გიორგი შურღაია, რომელთა თავდადებას ხალხისა და ქვეყნის წინაშე არ ივიწყებენ ორგანოს თანამშრომლები. მათ მჭიდრო კონტაქტი აქვთ დამყარებული დაღუპულ თანამებრძოლთა ოჯახებთან, ეხმარებიან, მხარში უდგანან.

ეს კობა ფხაკაძის მამაა, — მითხრეს და ომარ ფხაკაძე გამაცნეს, რომელსაც შავ პერანგზე სოფელ შრომასთან გმირულად დაღუპული შვილის სურათი ჰქონდა მიბნეული. მერე ერთმანეთი მოიკითხეს... ბოლოს, მეგობრის მამა ცრემლიანი თვალებით, მაგრამ გულწრფელი, ვაჟკაცური იმედით გააცილეს.

პოლიციელებს სიკეთის შუქი ედგათ თვალებში.

ვაჟა მიროტაძე.

პარლამენტის პრესცენტრის ხელმძღვანელი აკრიტიკებს ეროვნულ ბანკს, საერთაშორისო სავალუტო ფონდს და მსოფლიო ბანკს

„ბიზნესპრესის“ კორესპონდენტთან ინტერვიუში პარლამენტის პრესცენტრის ხელმძღვანელმა, [illegible] ლომაძემ ალმაშფოთებელი უწოდა საქართველოს ეროვნული ბანკის განზრახვას — მიმდინარე წლის სექტემბრიდან შემოიღოს ახალი ეროვნული ვალუტა — ლარი, ამასთან, გ. ლომაძემ ბრალად დასდო ბანკის ხელმძღვანელობას და, კერძოდ, თვით ბანკის პრეზიდენტს ნოდარ ჯავახიშვილს, კორუფცია და ფინანსური მახინაციები კრედიტებთან დაკავშირებით. თავისი კომპეტენტურობა ამ საკითხებში ლომაძემ იმით ახსნა, რომ თვი ეროვნული ბანკის [illegible] [illegible] დემურ [illegible]შვილის [illegible]ობის დროს.

გ. ლომაძემ გამოთქვა აგრეთვე გარკვეული პრეტენზიები საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის მიმართ. კერძოდ, მისი აზრით, ამ ორგანიზაციათა წაყრუებით საქართველოში არაკვალიფიციურ ექსპერტებს გზავნიან.

ვისაც ჭადრაკი უყვარს



წიგნის მაღაზიების თაროებზე გამოჩნდა თენგიზ გიორგაძის „ქართული ჭადრაკის მატიანე“ (თბილისი, „განათლება“, 320 გვ., ტირაჟი 2000 ეგზ.). ეს სქელტანიანი, კარგად გამოცემული ნაშრომი არის სამ ტომად ჩაფიქრებული საქართველოს ჭადრაკის ისტორიის პირველი წიგნი.

ჭადრაკის მრავალსაუკუნოვან წარსულს საქართველოშიც მდიდარი ისტორია აქვს. იგი ქართველებმა VII საუკუნეში გაიცნეს და თავისი ყოფის, სულიერი ცხოვრების თანამგზავრად გაიხადეს. ქართულ საზოგადოებაში ბრძნული თამაში მუდამ დიდი პატივით იყო გარემოსილი, რაზეც ერის ძველი კლასიკური მხატვრული ლიტერატურა და საერთოდ კულტურული მემკვიდრეობა მეტყველებს. მაგრამ ჭეშმარიტად ხალხის თამაშად იგი XX საუკუნეში გადაიქცა.

ჩვენი მამა-პაპის ჭადრაკით გატაცების ეს მდიდარი ისტორია, მრავალ საუკუნეს რომ ითვლის, დღემდე არავის შეუსწავლია, ამიტომაც ნაშრომის ანოტაციაში აღნიშნულია, რომ თენგიზ გიორგაძის წიგნი ქართული ჭადრაკის ისტორიის სისტემატიზაციის პირველი ცდაა.

დიდი მეცადინეობით, მოთმინებითა და რუდუნებით თენგიზ გიორგაძემ მისხალ-მისხალ შეკრიბა ყველაფერი, რაც ქართული ჭადრაკის წარსულსა და აწმყოს შეეხებოდა (მოვლენები 1995 წლამდეა მოყვანილი) და ფართო საზოგადოებრიობის სამსჯავროზე გამოიტანა.

„ქართული ჭადრაკის მატიანე“ ხუთი თავისგან შედგება: I. ჭადრაკის წარსული და აწმყო საქართველოში (VII-XX სს.), II. საქართველოს მოჭადრაკეები, მსაჯები, მწვრთნელები, საჭადრაკო კომპოზიტორები და საზოგადო მოღვაწენი („სადარბაზო ბარათები“), III. მონაწილეობა შეჯიბრებებში (მოყვანილია ქართველი მოჭადრაკეების მონაწილეობის შედეგები მსოფლიოს, ევროპის, საბჭოთა კავშირის, საქართველოს, თბილისის ჩემპიონატებში, საერთაშორისო ტურნირებში და სხვ.), IV. საჭადრაკო კომპოზიცია საქართველოში (ისტორია, კონკურსების შედეგები), V. ქართული ჭადრაკის ისტორიის წანაგები (თბილისის ჭადრაკის სასახლე, „სამორინე“, უმაღლესი საჭადრაკო განათლება, ჭადრაკი და ქართული კინო, ჭადრაკის წიგნი ქართულად — მცირე ბიბლიოგრაფია, ქართული საჭადრაკო პრესა და სხვ.). აქვეა მოყვანილი ქართველი დიდოსტატების მონაწილეობით 40 დიდი ტურნირის შედეგების ცხრილები.

წიგნის რედაქტორია საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის საპატიო პრეზიდენტი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ალექსანდრე ჩიკვაიძე.

წინასიტყვაობაში აღნიშნულია, რომ „ქართული ჭადრაკის მატიანის“ მეორე წიგნი მიეძღვნება საქართველოს მოჭადრაკეთა ყველა თაობის შემოქმედებას (პარტიები, დაბოლოებები, ამოცანები, ეტიუდები), მესამე იქნება ქართული ჭადრაკის ისტორიისადმი მიძღვნილი ნარკვევების კრებული.

დავით გურგენიძე,
საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი, საერთაშორისო დიდოსტატი საჭადრაკო კომპოზიციაში.

ხსოვნა

ამირან შევარდნაძე

84 წლისა გარდაიცვალა უხუცესი ქართველი სამხედრო მეზღვაური, ფინეთისა და დიდი სამამულო ომების ვეტერანი, გადამდგარი I რანგის კაპიტანი ამირან შევარდნაძე.

ა. შევარდნაძე დაიბადა 1911 წელს ოზურგეთის რაიონის სოფელ ასკანაში, ტექნიკუმის დამთავრების შემდეგ 1933 წელს გაგზავნილ იქნა ლენინგრადის უმაღლეს სამხედრო-საზღვაო სასწავლებელში, რომელიც დაამთავრა 1938 წელს და სამსახური დაიწყო მურმანსკში მესაზღვრე გემის მეთაურის თანაშემწედ, შემდეგ კი საბრძოლო ნაწილის მეთაურად. 1939 წელს ამირან შევარდნაძე დაინიშნა სადარაჯო კატარღა „რუბინი“-ს მეთაურის თანაშემწედ, 1941 წელს კი მეთაურად და მონაწილეობას ღებულობდა ფინეთის ომში. 1942 წელს იგი გახდა სადარაჯო კატარღათა დივიზიონის შტაბის უფროსი. ამავე წელს, მიავლინეს საესკადრო ნაღმოსანთა მეთაურების მოსამზადებელ კურსებზე. მათი დამთავრების შემდეგ 1943 წელს დაინიშნა საესკადრო ნაღმოსან „კარლ ლიბკნეხტი“-ს მეთაურად. დიდი სამამულო ომის დამთავრების შემდეგ ამირან შევარდნაძე იყო გერმანული სამხედრო ხომალდების მიმღები კომისიის წევრი.

1946-60 წლებში იყო ჩრდილოეთის ფლოტის სამხედრო-საზღვაო მომზადების შტაბის განყოფილების უფროსი, ხომალდების ექსპლუატაციის განყოფილების უფროსი და სამხედრო-საზღვაო ბაზის მთავარი ინჟინერი.

1961 წლიდან გადამდგარი I რანგის კაპიტანი ამირან შევარდნაძე მოღვაწეობას იწყებს დოსააფის სისტემაში და 1989 წელს ინიშნება დოსააფის რესპუბლიკური ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილედ.

სიცოცხლის უკანასკნელ წლებში ამირან შევარდნაძე აქტიურად მონაწილეობდა ეროვნული ფლოტის მშენებლობაში.

ამირან შევარდნაძე დაჯილდოებული იყო ლენინის ორდენით, წითელი დროშის ორდენით, ორი წითელი ვარსკვლავის ორდენით, I და II ხარისხის სამამულო ომის ორდენებითა და მრავალი მედლით.

I რანგის კაპიტნის ამირან შევარდნაძის, უდიდესი გამოცდილების მქონე სამხედრო მეთაურის გარდაცვალება აუნაზღაურებელი დანაკლისია საქართველოს შეიარაღებული ძალებისათვის. ქართველ სამხედროებს მუდამ ემახსოვრებათ იგი — კეთილი ადამიანი და ბრძენი მასწავლებელი.

საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტრო, საქართველოს რესპუბლიკის სამამულო ომის და შრომის ვეტერანთა საბჭო.

ისნის რაიონის ვაჭრობისა და მომსახურების განყოფილების თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა №4 უნივერსამის ყოფილი დირექტორი, კომერციული ცენტრის თანამშრომელი

ვაჟა რაფიელის ძე ბოკერია

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ კოლექტივი უთანაგრძნობს გამომცემლობა „სამშობლოს“ ბიბლიოთეკის გამგეს მარინა ფორჩხიძეს ძმის

ავთანდილ გიორგის ძე ფორჩხიძის

გარდაცვალების გამო.

ჩვენი გაზეთის მორიგი ნომერი გამოვა პარასკევს, 18 აგვისტოს.

მორიგე რედაქტორი **ალეკო ასლანიშვილი.**

გამომცემელი — შპს „პრესა“
რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. № 14. ინდექსი 68484 ტელ. 99-78-24
მთავარი რედაქტორი **გურამ ბოჭიაშვილი.**